



შპს გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის
სასწავლო უნივერსიტეტი

ბიზნესისა და სოციალური მეცნიერებების ფაკულტეტი

სპეციალობა: საერთაშორისო ბიზნესის მენეჯმენტი

სამაგისტრო ნაშრომი

BSEC-ის ქვეყნებთან საქართველოს ვაჭრობის პერსპექტივები

სტუდენტი: ცოტნე სალაძე

ხელმძღვანელი პროფესორი: გელა ალადაშვილი

თბილისი

2020

სარჩევი

ანოტაცია.....	3
Anotation	4
შესავალი	5
თავი I. სახელმწიფოთაშორისი რეგიონული ინტეგრაციის თეორიული საფუძვლები.....	7
1.1. გლობალიზაციისა და რეგიონული ინტეგრაციის პროცესები მსოფლიოში	7
1.2. საერთაშორისო ინტეგრაციის თეორიული საფუძვლები.....	16
თავი II. BSEC როგორც სახელმწიფოთაშორისი რეგიონული ინტეგრაციული დაჯგუფება	28
2.1. BSEC-ის წარმოშობა, მისია და ეკონომიკური თანამშრომლობის ძირითადი მიმართულებები	28
2. 1. BSEC-ის როლი გლობალურ ვაჭრობაში.....	32
თავი III. BSEC-ის ქვეყნებთან საქართველოს ვაჭრობის ანალიზი.....	39
დასკვნა.....	45
გამოყენებული ლიტერატურა.....	49
დანართი 1.....	52
დანართი 2.....	53

ანოტაცია

მსოფლიოში ძლიერდება რეგიონალიზაციის პროცესი, რაც აქტუალურს ხდის იმ დაჯგუფების წევრებთან თანამშრომლობის მიღწეული შედეგების შესწავლას და გაანალიზებას, რომლის წევრიც ქვეყანაა. ნაშრომი ეძღვნება BSEC-ის ქვეყნებთან საქართველოს ვაჭრობის პერსპექტივების განხილვას.

პირველ თავში მოცემულია სახელმწიფოთაშორისი რეგიონული ინტეგრაციის თეორიული საფუძვლები.

მეორე თავი ეთმობა შავი ზღვის ეკონომიკური თანამშრომლობის ორგანიზაციის ფუნციონირების სიღრმისეულ შესწავლას. BSEC მოქმედებს როგორც სახელმწიფოთაშორისო რეგიონული ინტეგრაციული დაჯგუფება ფართომასშტაბიანი მიზნებით. BSEC-ს თანამშრომლობის ფართო შესაძლებლობები გააჩნია ეკონომიკური და პოლიტიკური უსაფრთხოების კუთხით. დაგეგმილი მიმართულებებით მუშაობის გააქტიურება მონაწილე ქვეყნების მიერ თანამშრომლობიდან სარგებლის გაფრთხილებისთვის ხელშემწყობი იქნება.

მესამე თავში გაანალიზებულია საქართველოს ვაჭრობა BSEC-ის ქვეყნებთან 1995-2018 წლებში. დაჯგუფების წევრ ქვეყნებზე მოდის საქართველოს საგარეო სავაჭრო ბრუნვის ნახევარი. პოსტსოციალისტური განვითარების პირველ წლებში ამ ქვეყნების საექსპორტო მნიშვნელობა უფრო დიდი იყო საქართველოსთვის, რაც მაღალ ხვედრით წილში გამოიხატებოდა. ეს წილი შემცირდა ექსპორტის დივერსიფიკაციის ხარჯზე, თუმცა დაჯგუფების წევრი ქვეყნები კვლავ რჩებიან მნიშვნელოვან საექსპორტო ბაზრებად საქართველოსთვის. მათზე მოდის საქართველოს ექსპორტის დაახლოებით 55%. BSEC-ის ქვეყნებიდან იმპორტზე მოდის საქართველოს მთლიანი იმპორტის დაახლოებით 50%. გეოგრაფიული სიახლოვე არსებით გავლენას ახდენს საქართველოს საგარეო ვაჭრობაზე. ინტეგრაციის წევრი ქვეყნები საქართველოს უმნიშვნელოვანესი სავაჭრო პარტნიორები არიან, მაგრამ ამავე ქვეყნებთან სავაჭრო ბალანსის უარყოფითი სალდო პრობლემურია, მიუხედავად იმისა, რომ მკვეთრი გაურესების შემდეგ მისი დონე შენარჩუნებულია.

Anotation

The process of regionalization is intensifying in the world, which makes it important to study and analyze the results of cooperation with the members of the integration group of which the country is a member. The paper is dedicated to discussing Georgia's trade prospects with BSEC countries.

The first chapter provides the theoretical foundations of the interstate regional integration.

The second chapter is devoted to an in-depth study of the Black Sea Economic Cooperation Organization (BSEC). The BSEC acts as an intergovernmental regional integration group for a wide range of purposes. BSEC has a wide range of opportunities for economic and political security. To enhance the benefits of the cooperation by participating countries it will be helpful to activate the work in the planned directions.

The third chapter analyzes Georgia's trade with BSEC countries from 1995-2018. The half of Georgia's foreign trade turnover comes from group member countries. In the first years of post-socialist development, the export value of these countries was greater for Georgia, which was expressed by a large share of total exports. This share has been reduced at the expense of export diversification, although the group member states remain important export markets for Georgia. They account for about 55% of Georgia's exports. Imports from BSEC countries account for about 50% of Georgia's total imports. Geographical proximity has a significant impact on Georgia's foreign trade. Integration member states are Georgia's major trading partners, but the negative balance of trade with these countries is problematic, although its level remains at the same mark after the sharp downturn.

შესავალი

თემის აქტუალურობა.

მეოცე საუკუნის განმავლობაში მსოფლიოს ქვეყნები ძირითადად ორ სისტემად-კაპიტალისტურ და სოციალისტურ ბანაკად იყო გაყოფილი და პოლიტიკურ-ეკონომიკური ურთიერთობები ძირითადად დაჯგუფების შიგნით ხორციელდებოდა. 90-იანი წლების შემდეგ, რაც დაიშალა სოციალისტური სისტემა და ამ ქვეყნების ძირითადმა ნაწილმა გადასვლა დაიწყო ღია პოლიტიკურ სისტემასა და საბაზრო ეკონომიკაზე, მსოფლიო არენაზე ვითარება არსებითად შეიცვალა. მსოფლიოსთვის დამახასიათებელი გახდა გლობალიზაციის მრავალმხრივი პროცესი, რაც გამოიხატება ქვეყანათა ურთიერთდამოკიდებულების ზრდასა და საერთაშორისო პოლიტიკურ-ეკონომიკური ინტეგრაციის გაძლიერებაში. ერთ-ერთი არსებითი მამოძრავებელი ძალა, რომელიც მოქმედებს გლობალიზაციის პროცესებსა და მასში ჩართულ სუბიექტებზე, არის ეკონომიკის ლიბერალიზაციის მიმართულების გაძლიერება. შეზღუდვების მოხსნა ან შემცირება სასაქონლო, მომსახურების, კაპიტალის ბაზრებზე ხელშემწყობ წინაპირობად იქცა აღნიშნული პროცესის დაჩქარებისთვის.

ზოგიერთი ქვეყანა წავიდა უფრო ფართომასშტაბიანი ინტეგრაციის მიმართულებით. მაგალითად, საქონლის და მომსახურების, კაპიტალის და სამუშაო ძალის თავისუფალი მოძრაობისთვის ქვეყნებს შორის ბარიერებს ამცირებენ, რაც ეტაპობრივად ხორციელდება. ასეთ დაჯგუფებებს უფრო მეტად ეკონომიკური მიზნები ამოძრავებთ. მსოფლიოში გვხვდება პოლიტიკური მიზნის გარშემო განვითარებული დაგუფებების ჩამოყალიბებაც. აღსანიშნავია, რომ გლობალიზაცია გაძლიერდა 90-იანი წლებიდან, მაგრამ მას თან ახლავდა ისეთი მოვლენის ფართოდ განვითარებაც, როგორცაა რეგიონალიზმი. ეს პროცესი პოლიტიკური, ეკონომიკური ან ორივე მიზნების გარშემო ვითარდება. უპირველეს ყოვლისა, რეგიონალიზმი რეგიონული პრეფერენციული სავაჭრო შეთანხმებების გავრცელებაში გამოიხატება, რომლებიც შემოიფარგლება ცალკეულ ქვეყანათა დაჯგუფების ჩარჩოებში ბარიერების შესუსტებით ან მოხსნით. მსოფლიოში განვითარებული თანამედროვე პროცესები, რომელიც უკავშირდება ძლიერი საერთაშორისო სუბიექტების - აშშ-ის და

ჩინეთის დაპირისპირებას, აფერხებს გლობალიზაციის პროცესს და სავარაუდოა, რომ რეგიონალიზმი უფრო მეტად გაძლიერდება.

აღნიშნულის ფონზე სასარგებლოდ მიგვაჩნია იმ რეგიონული ბლოკების ფარგლებში თანამშრომლობის პერსპექტივების განხილვა, რომლის წევრიც საქართველოა.

ნაშრომის მიზანია შავი ზღვის აუზის ქვეყნებთან საქართველოს სავაჭრო ურთიერთობების განვითარების არსებული მდგომარეობის გაანალიზება და განვითარების პერსპექტივების განსაზღვრა.

კვლევის **ობიექტია** საქართველო - BSEC-ის სავაჭრო ნაკადები 1995-2018 წლებში.

კვლევის პროცესში გამოყენებულია ანალიზის, სინთეზის, სტატისტიკური ანალიზის **მეთოდები**.

თავი I. სახელმწიფოთაშორისი რეგიონული ინტეგრაციის თერიული საფუძვლები

1.1. გლობალიზაციისა და რეგიონული ინტეგრაციის პროცესები მსოფლიოში

თანამედროვე მსოფლიოში ქვეყნების ურთიერთდამოკიდებულება გაფართოვდა, რაც იწვევს ერთ ქვეყანაში განვითარებული მოვლენების სწრაფად ასახვას სხვა ქვეყნის ეკონომიკურ თუ პოლიტიკურ განვითარებაზე. მეოცე საუკუნის 90-იანი წლებიდან დაწყებულმა პროცესებმა უფრო ფართო მასშტაბი შესძინა ქვეყანათა ურთიერთზეგავლენის პროცესებს. იგი გამოიხატება იდეოლოგიურ, ინსტიტუციონალურ, მოხმარებისა და გასაღების, საქონლისა და მომსახურების ბაზრების, ფინანსურ დაგროვებისა და ინვესტიციების, კაპიტალის ბაზრების, სამუშაო ძალის ბაზრის გმეცნიერებისა და ინოვაციების, ეკოლოგიის გლობალიზაციაში. ამ პროცესში იმ ქვეყნების ჩართვამ, რომელთაც ადრე ჩაკეტილი პოლიტიკურ-ეკონომიკური სისტემა ჰქონდათ, გააფართოვა როგორც თავად მსოფლიო ეკონომიკის მასშატები, ისე უშუალოდ ჩართული ქვეყნის შესაძლებლობები, რომ მიიღოს უფრო მეტი სარგებელი სხვა ქვეყნებთან საქონლითა და მომსახურებით ვაჭრობისგან, კაპიტალის მიგრაციისა და სამუშაო ძალის მიგრაციისგან.

გლობალიზაციის არსს სხვადასხვაგვარად განმარტავენ მეცნიერები. მკვლევართა მოსაზრებები ამ კომპლექსური პროცესის შემდეგ მიმართულებებზეა კონცენტრირებული: გლობალური ტრანსნაციონალური კორპორაციების ჩამოყალიბება; ფინანსური მმართველობის გლობალიზაცია; ეკონომიკის რეგიონალიზაცია; მსოფლიო ეკონომიკის ინტენციფიკაცია და მსოფლიო ეკონომიკის კონვერგენცია¹.

გლობალიზაციის პროცესის დასაწყისზე მკვლევართა განსხვავებული მოსაზრებები არსებობს. კაცობრიობის არსებობის სხვადასხვა ეპოქაში მეტ-ნაკლებად ფართოვდებოდა სხვადასხვა ქვეყანას შორის კავშირი. არსებობს მოსაზრება, რომ დიდი გეოგრაფიული აღმოჩენების ეპოქაში დაედო სათავე გლობალიზაციის

¹ შოთა ვეშაპიძე, ეკა ლეკაშვილი, ამბროსი გრიშკაშვილი, ნანა ასლამაზიშვილი, მსოფლიო ეკონომიკა, თბ., 2008, გვ. 129

პროცესებს. არსებობს გლობალიზაციისადმი სხვადასხვაგვარი მიდგომები, მოცემული ცნების შინაარსისა და მისი დროითი ჩარჩოების განმარტებები, ასევე, მაგალითად, შეიძლება შეხვდეთ მტკიცებას იმის თაობაზე, რომ გლობალიზაციის პროცესები ვითარდებოდა ჯერ კიდევ ანტიკურ ეპოქაში, ან სხვა ვარიანტებში, პირველი მსოფლიო ბაზრების ჩამოყალიბების დროიდან ან ერთიანი მსოფლიო მეურნეობის ჩამოყალიბების დროიდან; ან საერთოდ მტკიცებას, რომ არაფერი ახალი არ ხდება მსოფლიოში².

მეცნიერთა უფრო მეტი ნაწილი ემხრობა აზრს, რომ გლობალიზაცია თანამედროვე პროცესია და გასული საუკუნის 90-იან წლებში დაიწყო, რადგან ჩაკეტილი სისტემების გახსნამ სრული მასშტაბით ეკონომიკური ინტერნაციონალიზაციის განხორციელების შესაძლებლობები შექმნა. იგი გაიშალა მსოფლიოს მთელ არენაზე და მსოფლიო ეკონომიკამაც განვითარების ახალი სპეციფიკა შეიძინა.

მეცნიერთა გარკვეული ნაწილი მიიჩნევს, რომ მსოფლიო ეკონომიკა გადადის ერთიან მსოფლიო ეკონომიკურ ორგანიზმში, რომელიც შეკავშირებულია არა უბრალოდ შრომის საერთაშორისო დანაწილების სისტემით, არამედ გიგანტური, ხშირ შემთხვევაში მსოფლიო მასშტაბის საწარმოო-სარეალიზაციო სტრუქტურებით, გლობალური ფინანსური სტრუქტურით და პლანეტარული საინფორმაციო ქსელით. საწარმოო ძალების განლაგების გეოგრაფია, ინვესტიციების, წარმოებისა და რეალიზაციის დარგობრივი სტრუქტურა სამეურნეო სუბიექტების მიერ განისაზღვრება გლობალური კონიუნქტურით, ეკონომიკური აღმავლობები და დაცემები იძენენ მსოფლიო მასშტაბებს³.

წინაპირობები, რომლებმაც სათავე დაუდო აღნიშნულ მასშტაბურ პროცესებს, ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში ვითარდებოდა და გამოხატებოდა კაპიტალის კონცენტრაციისა და ცენტრალიზაციაში, ტრანსნაციონალური კომპანიების და ფინანსური ჯგუფების ტრანსნაციონალიზაციაში, ბაზრების გლობალიზაციასა და

² ნინო პაპაჩაშვილი, როგორ ვიხსნათ ქვეყანა გლობალიზაციის უარყოფითი შედეგებისაგან, ჟ. ბიზნეს-მაცნე, #1, თბ., „ინოვაცია“, 2007, გვ. 49.

³ ნინო პაპაჩაშვილი, როგორ ვიხსნათ ქვეყანა გლობალიზაციის უარყოფითი შედეგებისაგან, ჟ. ბიზნეს-მაცნე, #1, თბ., „ინოვაცია“, 2007, გვ. 50.

გლობალურ კონკურენციაში. აღსანიშნავია, რომ სამეცნიერო-ტექნიკური სახის რევოლუციური ცვლილებები განსაკუთრებით მასტაბურად აისახებოდა საწარმოო პროცესებზე და გამოიხატა სატრანსპორტო და საკომუნიკაციო საშუალებების განვითარებაში, რაც თავის მხრივ, ხელშემწყობი გახდა ეკონომიკის სხვა სექტორების განვითარებისთვის.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს საინფორმაციო და სატელეკომუნიკაციო სექტორში განვითარებული რევოლუციური ცვლილებები. ეს უკანასკნელი იმდენად ყოვლისმომცველია, რომ ნამდვილად ფართომასშტაბიან შესაძლებლობებს იძლევა ბაზრების გლობალიზაციისთვის. არსებითად შემცირდა დანახარჯები სასაქონლო, მომსახურების, კაპიტალის, ცოდნის საერთაშორისო მოძრაობისთვის. ტექნოლოგიურმა ძვრებმა კომპიუტერულ ინდუსტრიაში, ობტიკურ-ბოჭკოვანი ტექნოლოგიების განვითარებამ, ქსელური ინდუსტრია გაფართოებამ, მობილური და თანამგზავრული კავშირების განვითარებამ, ახალი თაობის ელექტრონული მოწყობილობების შემუშავებამ და სხვადასხვა ტექნიკურმა, ტექნოლოგიურმა და ციფრულმა მიღწევებმა საფუძველი დაუდო ახალი ტიპის საზოგადოების ჩამოყალიბებას, რომელიც ცოდნაზე დაფუძნებული (Knowledge-based) საზოგადოების სახელით არის ცნობილი. არსებობს გარკვეული მეცნიერული გაანგარიშებები, რომლის მიხედვით ყოველ 5-10 წელში მსოფლიოში არსებული ინფორმაცია ორმაგდება. გლობალური საინფორმაციო სივრცის შექმნა ფართო შესაძლებლობებს იძლევა, მაგრამ გარკვეულ დამაბრკოლებელ გარემოებებსაც ქმნის, რადგან რთულია ორიენტირება ჭარბი ინფორმაციის პირობებში.

რთულია აღნიშნულ პირობებში კონკურენტული უპირატესობის მოპოვებაც. მკვლევარები მიუთითებენ, რომ გლობალიზაცია გვთავაზობს ახალ შესაძლებლობებს განვითარებისთვის, მაგრამ ამავე დროს ქმნის გამოწვევებს ნაკლებად განვითარებული ქვეყნებისთვის⁴.

⁴ Gela Aladashvili, MODERN ACCENTS FOR IMPROVING COMPETITIVENESS, II International scientific and practical conference „Modern Management Strategic Imperatives”, ЗМІСТ II Міжнародна науково-практична конференція "Стратегічні імперативи сучасного менеджменту", Holds on in Kyiv 22-23 May, 2014, http://feu.kneu.edu.ua/ua/confere_nce/sism/

გლობალური კონკურენტუნარიანობის ანგარიშები მიგვითითებდა, რომ მსოფლიოს დიდი ნაწილი ვერ სარგებლობდა ტექნოლოგიური ცვლილებებით და ტექნოლოგიური გლობალიზაციით. განვითარებადი და გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნები ავტომატურად ვერ მიიღებენ ამ პროცესებიდან სარგებელს. მათ შეუძლიათ ამგვარი უპირატესობა მიიღონ, თუ ორიენტირებული იქნებიან სამეცნიერო და ტექნოლოგიური ინოვაციებზე და განახორციელებენ აქტიურ პოლიტიკას სწავლებისა და ცოდნასა და ტექნოლოგიებზე წვდომისთვის.⁵ ბოლო მონაცემები კვლავ აქცენტს აკეთებს ამ პრობლემაზე მიუთითებს, რომ ტექნოლოგიურ ინტეგრაციასა და ადამიანური კაპიტალის განვითარებას შორის ბალანსის მოძებნა კრიტიკული იქნება პროდუქტიულობის ზრდისათვის.⁶

გლობალიზაციის პროცესის შედეგად წარმოშობილი განვითარების ფართო შესაძლებლობები აშკარაა, მაგრამ რადგან ყველას არ შეუძლია ამ პროცესებიდან სარგებლის მიღება, გარკვეული ამოცანების წინაშე არიან მთავრობები. ცოდნაზე დაფუძნებული ეკონომიკური განვითარება თანამედროვე მთავრობების გამოწვევაა ეკონომიკური, პოლიტიკური და სოციალური მიდგომების გათვალისწინებით. კონკურენტუნარიანობის უზრუნველყოფის კუთხით თუ განვიხილავთ, ეს ყველაფერი კონკურენციას უკავშირდება, რომელიც აისახება ტექნოლოგიურ განვითარებაზე, მეწარმეობაზე, მუშახელის უნარ-ჩვევების გაფართოებაზე, ინფრასტრუქტურულ უზრუნველყოფაზე. მეტად მნიშვნელოვანია ადამიანური კაპიტალის განვითარება, რაც ხელს უწყობს მთლიანად საზოგადოების განვითარებას. ცოდნასა და ეკონომიკურ განვითარებას შორის მჭიდრო კავშირია. ერთი მხრივ, ტექნოლოგიური პროგრესი განაპირობა ადამიანის ცოდნამ და იგი ტექნოლოგიებში ცოდნის დაგროვებაზეა დამოკიდებული და მეორე მხრივ, ცოდნაზე დაფუძნებულმა ეკონომიკამ ხელი უნდა შეუწყოს ადამიანთა კეთილდღეობის ზრდას.

ქვეყნები ფუნქციონირებენ გლობალურ გარემოში. რიგი ფაქტორები დადებით

⁵ The Global Competitiveness Report 2013–2014: Full Data Edition is published by the World Economic Forum within the framework of The Global Competitiveness and Benchmarking Network, Ed. Klaus Schwab.

⁶The Global Competitiveness Report 2019: Full Data Edition is published by the World Economic Forum within the framework of The Global Competitiveness and Benchmarking Network, Ed. Klaus Schwab.

http://www3.weforum.org/docs/WEF_TheGlobalCompetitivenessReport2019.pdf


ზეგავლენას ახდენს, რიგი კი - უარყოფითს. იმისათვის, რომ კეთილდღეობის დოე უზრუნველყოფილი იყოს ქვეყანაში და გამოწვევებს სათანადოდ უპასუხონ, სახელმწიფოები სხვადასხვა გზას მიმართავენ. პოლიტიკური, ეკონომიკური, სამართლებრივი, კულტურული და სხვა გარემოებები კომპლექსურად მოქმედებენ სახელმწიფოთა გადაწყვეტილებებზე, თუ რა გზით ჩაერთნენ საერთაშორისო ურთიერთობებში. ცალკე აღებულ სახელმწიფოს ზოგჯერ შეზღუდული შესაძლებლობები აქვს გლობალური პროცესებიდან სარგებლის მისაღებად და იწყებს სხვა ქვეყნებთან ერთად მოქმედებას გლობალურ არენაზე. ზოგჯერ საერთო ქმედების ბიძგი უსაფრთხოების უზრუნველყოფის აუცილებლობიდან მოდის და წმინდა პოლიტიკური ხასიათისაა.

გასული საუკუნის განმავლობაში ინტეგრაციის პროცესების დინამიკურად განვითარდა მსოფლიოს სხვადასხვა რეგიონში და ამ პროცესით შესაძლებელი გახდა ეკონომიკის განვითარების ახალი გზის პოვნა. დღესდღეობით, ინტეგრაციული საქმიანობა ეკონომიკურ ურთიერთობათა ლიბერალიზაციასთან არის დაკავშირებული და უფრო მეტად განიხილება როგორც შემდგომი განვითარების აუცილებელი პირობა. მიიჩნევენ, რომ იწყება რა ასეთი ინტეგრაცია შეღავათიანი და თავისუფალი ვაჭრობის ზონის შექმნის სურვილით, სადაც გაუქმებულია საბაჟო და რაოდენობრივი შეზღუდვები, იგი ხშირად გადაიზრდება უფრო ღრმა ინტეგრაციაში. ეს მოსაზრება, როგორც ჩანს, რეალურია, რადგან კომერციული ხელშეკრულებების მნიშვნელოვანი ზრდა აღინიშნება ოთხმოცდაათიანი წლების დასაწყისიდან. კომერციული შეთანხმებების რიცხვის ყველაზე მაღალი ზრდა დასავლეთის ნახევარსფეროში და აზიისა და წყნარი ოკეანის რაიონებში იყო.

თანამედროვე მსოფლიო ეკონომიკის სტრუქტურა ძალიან რთულია. გასულ საუკუნეში გამოჩნდა ინტეგრაციული დაჯგუფებები, რომლებიც ორ ან მეტ ქვეყანას / ეკონომიკას აერთიანებს. ინტეგრაციის პროცესი აერთიანებს ჯგუფების წევრებს და ეს არის გარკვეულად ცალკეული ეკონომიკების ურთიერთდაპტაცია და სტრუქტურების ურთიერთდაახლოება. ამ საერთაშორისო ჯგუფებს აქვთ რეგიონალური ხასიათი. ეს ნიშნავს, რომ ის შედგება ქვეყნებისგან, რომლებიც

მიეკუთვნებიან საერთო გეოგრაფიულ რეგიონს, რომლებიც ხშირად ერთმანეთის მეზობლები არიან და ეკონომიკური განვითარების მსგავსი დონე ახასიათებთ, თუმცა ეს არ არის აუცილებელი პირობა.

რეგიონული სავაჭრო შეთანხმებების მასშტაბურ ზრდაზე მიგვითითებს ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის სტატისტიკური მონაცემები. ნახაზიდან 1 ნათლად ჩანს, რომ რეგიონული სავაჭრო შეთანხმებების მასშტაბური ზრდა მეოცე საუკუნის 90-იანი წლებიდან დაიწყო და დღეისათვის ძალაში შესულია 300-ზე მეტი სავაჭრო შეთანხმება, ხოლო 500-მდე სავაჭრო შეთანხმებაზე მიმდინარეობს მოლაპარაკება.



ნახ. 1. რეგიონული სავაჭრო შეთანხმებების ევოლუცია, 1948-2020 წწ.⁷

არსებითად შეიძლება ითქვას, რომ დღეისათვის მსოფლიო ეკონომიკის განვითარება, რომლისთვისაც დამახასიათებელია გლობალური ეკონომიკური ურთიერთობების ზრდა, იმავდროულად გულისხმობს რეგიონალიზაციის ზრდას, რომელიც გამოიხატება ქვეყანათა ინტეგრაციის ამა თუ იმ ფორმაში. გლობალიზაცია და რეგიონული ინტეგრაცია, ისევე როგორც ეკონომიკური ურთიერთობების

⁷ ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის მონაცემები, <http://rtais.wto.org/UI/charts.aspx>

განვითარება საერთაშორისო დონეზე, რა თქნა უნდა, არ არის ახალი ფენომენი და ჯერ კიდევ უძველეს პერიოდში არსებობდნენ, მაგრამ XX საუკუნის ბოლო ათწლეულში ამ პროცესების მთელი რიგი ახალი თვისებრივი ელემენტი დაემატა.

რეგიონალიზაციამ, რომელიც ამა თუ იმ ფორმით გამოხატავს ინტეგრაციის შინაარსს, შეიძლება მიიღოს მცირე ან უფრო მჭიდრო ინსტიტუციონალიზებული ურთიერთობის ფორმა. მას ახასიათებს ურთიერთდაკავშირებული პოლიტიკური, ეკონომიკური, კომერციული, ტექნიკური და ფინანსური თანამშრომლობსაერთო მიზნების გარშემო. საერთაშორისო ეკონომიკური ინტეგრაციის უმარტივესი ფორმა სავაჭრო ინტეგრაციით იწყება და ზოგჯერ მას მიიჩნევენ ეროვნულ ეკონომიკათა შერწყმის პროცესად, თუმცა ეს აუცილებლად თანამდევი პროცესი არ არის. საკითხი უფრო მეტად ეხება დამატებითი შესაძლებლობების ათვისებას, ეკონომიკური პოტენციალის მოქნედებაში მოყვანას და უფრო მაღალი საფეხურის ინტეგრაცია კი - ახალი ეკონომიკური ორგანიზმის შექმნას.

ბოლო ათწლეულებში მსოფლიოში თითქოს ბუმი დაიწყო და სხვადასხვა რეგიონში ინტენსიური ინტეგრაციის პროცესები განვითარდა. შეიძლება ითქვას, რომ სახეზეა საერთაშორისო რეგიონალიზმის ახალი ეტაპი. ინტეგრაციის თანამედროვე ინიციატივები წინა პერიოდის ინტეგრაციის მახასიათებლებისგან იმით განსხვავდება, რომ ისინი გაცილებით მეტ ქვეყანას მოიცავს, აქვთ ფართო სპექტრი და სხვადასხვა ფორმა (ნახ. 2). მსოფლიო ბანკის კვლევები უჩვენებს, რომ საერთაშორისო რეგიონული სავაჭრო შეთანხმებები თანდათან უფრო კომპლექსური ხდება. ისინი ეხება 10-დან 20-მდე პოლიტიკის სფეროს.


ძველი ინტეგრაციული ჯგუფები ცდილობენ თავიანთი საქმიანობის გაფართოებას და ამავდროულად, ახალი რეგიონული ხელშეკრულებების გაფორმებას. ეკონომიკური თანამშრომლობის პროცესების გარე და შიდა პირობები ქვეყნებში ასევე განსხვავებულია. პოლიტიკური პირობების შეცვლამ, ცივი ომის დასრულებამ და დემოკრატიული ცვლილებებმა ასევე განაპირობა თანამშრომლობის ძველი მოდელების ცვლილება, რამაც თავის მხრივ, ბევრ ქვეყანას შეუწყო ხელი, რომ შეთანხმებებში მიეღო მონაწილეობა და სარგებელიც მიეღო. ახალმა გარემოებებმა

ინტეგრაციის სხვადასხვა ფორმის შექმნა გამოიწვია და ინტეგრაციის ხელშეკრულებები ახალი წესების დაცვით გაფორმდა მსოფლიოს სხვადასხვა რეგიონში. დღეისათვის ინტეგრაციის პროცესები დივერსიფიცირებულია და მსოფლიოში გვხვდება სხვადასხვა პოტენციალის და განვითარების სხვადასხვა დონეზე მყოფი ქვეყნების ინტეგრაციის მაგალითები. თუმცა შეიძლება ითქვას, რომ განვითარების დაბალ დონეზე მყოფი ქვეყნები ცდილობენ გაერთიანდნენ ისეთ ქვეყნებთან, რომლებიც მსოფლიო ლიდერები არიან.

Regional Trade Agreements are Becoming More Complex

Regional trade agreements have become deeper, now covering multiple policy areas.

■ More than 20 policy areas ■ Between 10 and 20 policy areas ■ Less than 10 policy areas



Source: World Bank Group • Get the data

ნახ. 2. საერთაშორისო რეგიონული სავაჭრო შეთანხმებები თანდათან უფრო კომპლექსური ხდება⁸.

რეგიონალიზაციის თანამედროვე პროცესი ხასიათდება ინტეგრაციის სპექტრის გაფართოებით და მოიცავს ისეთ მიმართულებებს, როგორცაა: ეკოლოგია, კულტურა, სოციალური და პოლიტიკური საკითხები. გაერთიანება ხდება გლობალური გამოწვევების საპასუხოდაც ისეთი პრობლემების გარშემო, რომელთა დაძლევა ცალკე აღებულ რომელიმე ქვეყანას არ შეუძლია. ეს არ არის მხოლოდ თავდაცვისა და უსაფრთხოების საკითხები, იგი ეხება სხვა გლობალურ

⁸ World Bank Group data <https://www.worldbank.org/en/topic/regional-integration/brief/regional-trade-agreements>

პრობლემებსაც. ასეთი გაერთიანების მიზანი ერთობლივი ქმედებაა ახალ გარემოებებთან ადაპტაციის მიზნით. მსოფლიოს წამყვანი ტრიადის რეგიონულ გაერთიანებებთან შედარებით ნაწილობრივ პერიფერიული რეგიონები, როგორც მაგალითად, აღმოსავლეთი ევროპა ევროკავშირისთვის, ცდილობენ წამყვან ბლოკებთან ინტეგრირებას. ეს ინტეგრირება პოლიტიკური და ეკონომიკრი სტაბილურობის ხელშემწყობად განიხილება ამ ქვეყნის მმართველ წრეებში.

საერთაშორისო ინტეგრაციის ერთ-ერთი თანამედროვე მახასიათებელია ღია რეგიონალიზმი, რაც ნიშნავს მიზნობრივად არა ჩაკეტილი კომერციული ბლოკების შექმნას, არამედ თავისუფალი სავაჭრო სივრცის გაფართოებას. საერთაშორისო რეგიონალური თანამშრომლობა განიხილება როგორც დემოკრატიული და პოლიტიკური სტაბილიზაციის გაძლიერების და ეკონომიკური წინსვლისა და ცხოვრების გაუმჯობესების უზრუნველყოფის ფაქტორი.

სხვადასხვა მოსაზრებები გვხვდება გლობალიზაციისა და რეგიონალიზაციის, როგორც ურთიერთსაპირისპირო პროცესების შესახებ. მკვლევართა დიდი ნაწილი მიიჩნევს, რომ ეს პროცესები ერთმანეთს ავსებს და რეგიონალიზაცია დღესდღეობით განვითარებული საერთაშორისო ურთიერთობების ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ეკოპოლიტიკური მაჩვენებელია.⁹ მაგრამ ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის მხრიდან რეგიონული ბლოკების შექმნა განიხილება დისკრიმინაციულ მოვლენად, რადგან ბაზრებზე დაშვების განსხვავებული პირობები ყალიბდება სხვადასხვა ქვეყნისთვის.

მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის წევრი ქვეყნები ვალდებულნი არიან ორგანიზაციას წინასწარ შეატყობინონ რეგიონული სავაჭრო შეთანხმების შესახებ. საქონლით ვაჭრობასთან დაკავშირებული საკითხები რეგულირდება ტარიფებისა და ვაჭრობის შესახებ ზოგადი შეთანხმების (GATT) XXIV მუხლით, მომსახურებასთან დაკავშირებული შეთანხმები კი რეგულირდება მომსახურებით ვაჭრობის ზოგადი შეთანხმების V მუხლით. ამიტომ საქონლითა და მომსახურებით ვაჭრობის

⁹ Arzu AL, Hakan MEHMETÇİK, Economic Regionalization and Black Sea in a Comparative Perspective, Marmara University Journal of Political Science, 2017, ISSN 2147-6934, გვ. 17

პრეფერენციებთან დაკავშირებულ საკითხებზე შეტყობინებები ცალ-ცალკე უნდა გაიგზავნოს¹⁰.

რეგიონული სავაჭრო ხელშეკრულებების (RTA) ზრდასთან ერთად ბოლო ათწლეულში გამოიკვეთა დიდი მრავალმხრივი შეთანხმებების მნიშვნელოვანი ზრდა. რეგულირების საკითხები და სავაჭრო პარტნიორებს შორის დისკრიმინაციის დაუშვებლობა მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის ერთ-ერთი მთავარი გამოწვევად იქცა. ამასთან, RTA, რომელიც ფორმდება ორ ან მეტ პარტნიორს შორის შეღავათიანი სავაჭრო პირობების შესახებ, წარმოადგენს გამონაკლისს და WTO უფლებამოსილია წევრი ქვეყნების მიმართ გაატაროს სათანადო ღონისძიებები. საჭიროა ინტეგრაციის სახელშეკრულებო პირობები გაფორმდეს სათანადო წესების დაცვით. ინფორმაცია ხელმისაწვდომი უნდა იყოს ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის RTA მონაცემთა ბაზაში.

გლობალიზაციასა და რეგიონალიზაციასთან დაკავშირებული საკითხების შესწავლა და ანალიზი გვიჩვენებს, რომ ამ პროცესების გაგება არ არის ერთგვარი. თუმცა თუ განვაზოგადებთ, ცხადია, რომ ორივე პროცესი მიმდინარეობს მსოფლიოში და ამ გარემოების გათვალისწინება სახელმწიფოებისათვის აუცილებელია, რათა სწორი პოზიციონირება მოახდინონ მსოფლიო ბაზარზე.

1.2. საერთაშორისო ინტეგრაციის თეორიული საფუძვლები

მრავალრიცხოვანი რეგიონული სახელმწიფოთაშორისი ეკონომიკური ინტეგრაციის კონტექსტის გათვალისწინებით მიზანშეწონილია საკითხის დასმა იმის შესახებ, თუ რა შედეგს იღებს ქვეყანა ინტეგრაციის პროცესებიდან.

საერთაშორისო ეკონომიკის თეორიის ლიბერალური მიმდინარეობა ერთმნიშვნელოვნად ადასტურებს, რომ თავისუფალი ვაჭრობა ხელსაყრელია ნებისმიერი მასში ჩართული ქვეყნისთვის და მიზანშეწონილია ბაზრების გახსნა უცხოური კონკურენციისათვის. ვაჭრობის, მომსახურების, კაპიტალის

¹⁰ Regional Trade Agreements Information System (RTA-IS), User Guide, https://rtais.wto.org/UserGuide/RTAIS_USER_GUIDE_EN.html

საერთაშორისო გადაადგილების შესაძლებლობების გაფართოება ქმნის საწარმოო ფაქტორების უფრო ეფექტიანი გამოყენების პირობებს. ვინაიდან ინტეგრაციული დაჯგუფების ფარგლებში უფრო მიღწევადია შეთანხმების მიღწევა შეღავათიანი ურთიერთდაშვების პირობებზე, მით მეტი მოლოდინი იქმნება, რომ რეგიონული ინტეგრაციის პროცესში მონაწილე ქვეყნებს პოტენციურად უფრო მეტი სარგებლის მიღება შეუძლიათ. თუმცა აქვე გასათვალისწინებელია კონკურენციის ინტენსიფიკაციისა და სხვა რისკების პირობების ზრდაც როგორც ცალკეული კომპანიების, ასევე, ცალკეული ქვეყნებისათვის, რომლებიც კონკურენტულ ბრძოლაში ჩამორჩებიან ძლიერებს.

რეგიონული ინტეგრაციიდან მისაღებ პოტენციურ დანაკარგზე მიუთითებენ მკვლევარები, რომლებმაც ნორვეგიისა და ევროკავშირის ურთიერთობის საკითხი გაანალიზეს. ისინი მიუთითებენ, რომ ნორვეგიამ 1995 წლისთვის წარმატებით გაიარა მოლაპარაკების ყველა პროცესი და აკმაყოფილებდა ევროკავშირთან მიერთების პირობებს, რადგან ეს ქვეყანა არის წევრი ევროპის ეკონომიკური სივრცის (საერთო ბაზარზე წვდომის ყველა პირობით), მაგრამ ქვეყანაში ჩატარებული რეფერენდუმის შედეგად გადაწყდა არ გაერთიანებულიყო ნორვეგია სრულფასოვან წევრად ევროკავშირში. მსგავსება-განსხვავების და სინთეზური კონტროლის მეთოდების გამოყენებით, რომელიც რეგიონულ მონაცემთა ბაზებს ეფუძნებოდა, მკვლევარებმა გამოავლინეს, რომ არსებითად პოლიტიკურად მიღებული იყო გადაწყვეტილება ევროკავშირის წევრობის შესახებ და თუ ნორვეგია შეუერთდებოდა ევროკავშირს 1995 წელს, პროდუქტიულობის დონე 6%-ით მაღალი იქნებოდა უკვე 2001 წელს 1995 წელს არსებულ საშუალო მაჩვენებელთან შედარებით.¹¹

ნორვეგიის მსგავსმა განვითარებულმა ქვეყანამ შესაძლოა ნამდვილად დიდი სარგებელი მიიღოს ინტეგრაციიდან ბაზრების გაფართოების გამო, თუმცა ხშირად დებატებს იწვევს განვითარებადი და გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნების მოსალოდნელი სარგებელი. აკადემიური და საზოგადოებრივი წრეების კრიტიკას ვხვდებით ზოგადად გლობალიზაციის ნეოლიბერალური მოდელის მიმართ და

¹¹ Nauro F. Campos, Fabrizio Coricelli, Luigi Moretti, Norwegian Rhapsody? The Political Economy Benefits of Regional Integration, IZA DP No. 9098, June 2015

მითითებებს გლობალურ ეკონომიკასა და მათ შორის ინტეგრაციულ დაჯგუფებებში გაწევრიანებისას სწორი მართვის განხორციელებაზე.

ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის ფარგლებში ჩატარებული კვლევა მიუთითებს, რომ რეგიონული დისპროპორციები გაღრმავდა ბოლო ორ ათწლეულელში ამ ორგანიზაციის მონაწილე ქვეყნებს შორის. მთლიანი შიდა პროდუქტის სხვაობა ერთ მომუშავეზე გაანგარიშებით 10% ზედა ზღვარსა და 75% ქვედა ზღვარს შორის თითქმის 60%-ით გაიზარდა. ამგვარი უთანაბრობა ნაწილობრივ გამოწვეულია ქვეყნების შერეული სტრუქტურებით, რაც იმაზე მოგვითითებს, რომ მაღალპროდუქტიულ რეგიონებს შეუძლიათ, მაგრამ ყოველთვის არა, ხელი შეუწყონ მთელი ქვეყნის ეკონომიკის სტიმულირებას. აქვე აღნიშნულია, რომ კარგი მართვის პრაქტიკა მეტად მნიშვნელოვანია პროდუქტიულობის ზრდისა და რეგიონთაშორისი სხვაობის შესამცირებლად. ამასთან, ვაჭრობად სექტორებს მნიშვნელოვანი მამოძრავებელი ძალის როლის შესრულება შეუძლიათ ურბანულ და სასოფლო რეგიონებს შორის სხვაობის შესამცირებლად. რეგიონთაშორისი სხვაობები უფრო ფართოა, როდესაც ცხოვრების დონის მრავალგანზომილებიან სიდიდეს ვიყენებთ იმის ნაცვლად, რომ მხოლოდ შემოსავლებით გავზომოთ სხვაობები.¹²

როგორც ირკვევა, განვითარებულ ქვეყნებს შორისაც არის დისპროპორციები სარგებლის გადანაწილებაში, მაგრამ მათი წინაპირობები უფრო მეტად ხელსაყრელია. ძირითადი სამეცნიერო-ტექნიკური და ტექნოლოგიური პოტენციალი და ფინანსური რესურსები მათ ხელშია. გასათვალისწინებელია, რომ ცალკეული წარმოებების შემცირების რისკები, შემოსავლების გადანაწილების რისკები და შესაძლებელი სოციალური უთანასწორობა შეიძლება ნაწილობრივ კომპენსირდეს სახელმწიფოს სოციალური პოლიტიკით. განვითარებადი და გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებისათვის გლობალიზაციის შედეგები განსხვავებულია განვითარებულ ქვეყნებთან შედარებით. სუსტი კონკურენტული პოზიციის მქონე ქვეყნებისათვის გლობალიზაციის შედეგები (სარგებელი) არ არის ცხადი, რისკების ნეიტრალიზაციის

¹² OECD (2016), OECD Regional Outlook 2016: Productive Regions for Inclusive Societies, OECD Publishing, Paris, pp. 18-19. <http://dx.doi.org/10.1787/9789264260245-en>

შესაძლებლობები კი ამ ქვეყნებს შეზღუდული აქვთ.¹³

აღნიშნული გარემოება ერთ-ერთ მნიშვნელოვან ბიძგს ქმნის სუსტად განვითარებული ქვეყნებისთვის, რომ მიმართონ სახელმწიფოთაშორის რეგიონულ ინტეგრაციას. ამ პროცესებში სახელმწიფო და მისი პოლიტიკური ორიენტაცია აქტიურ როლს თამაშობს. თუ რა ფორმას შეარჩევენ, რა დონეზე განახორციელებენ ინტეგრაციას და რამდენად ოპტიმალურად უზრუნველყოფენ ურთიერთდაპტირებას, მრავალ ფაქტორზეა დამოკიდებული, რომელთაგან მნიშვნელოვანი ინტერესების გადაკვეთაა.

ინტეგრირების პროცესში სახელმწიფოს მხრიდან გასატარებელი ღონისძიებები გამოკვეთილია მკვლევართა მიერ და მიუთითებენ, რომ საქართველოსთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ამ პროცესებში მონაწილეობა: ინტეგრაციას, როგორც ეკონომიკურ მოვლენას მნიშვნელოვანი პოლიტიკური პოტენციალი ახასიათებს. ინტეგრაციული პროცესების მიმდინარეობა შეუძლებელია მასში მონაწილე ქვეყნების მთავრობის მხრიდან სპეციალური ღონისძიებების გატარების გარეშე. ინტეგრაციული დაჯგუფებები იქმნება იმ სახელმწიფოთა ჯგუფის საფუძველზე, რომელთაც საერთაშორისო პოლიტიკური ინტერესები აქვთ და ეკონომიკურ პრობლემებთან ერთად სურთ გადაჭრან სოციალურ-ეკონომიკური პრობლემები... რეგიონული შეთანხმების ზრდის ტენდენცია არსებითად მნიშვნელოვანია მსოფლიოს მცირე, დარიბი და უპირატესობის არ მქონე ქვეყნებისათვის, რომელთაც სურთ მსოფლიო ბაზარზე გასვლა. სწორედ ამ თვალსაზრისით არის აქტუალური საქართველოსათვის რეგიონულ ინტეგრაციულ გაერთიანებებში მონაწილეობა, რათა შეძლოს საერთაშორისო კონკურენტუნარიანობის ამაღლება და მსოფლიო ბაზართან ინტეგრირება.¹⁴

დებატების საგანია, უფრო მეტად პოლიტიკური თუ ეკონომიკური მოტივებით არის განპირობებული ინტეგრაციული პროცესები სახელმწიფოებს შორის. ზოგიერთი მეცნიერი ეთანხმება მოსაზრებას, რომ რეგიონალიზმის მიზეზები

¹³ ნინო პაპაჩაშვილი, როგორ ვიხსნათ ქვეყანა გლობალიზაციის უარყოფითი შედეგებისაგან, ჟ. ბიზნეს-მაცნე, #1, თბ., „ინოვაცია“, 2007, გვ. 53.

¹⁴ ეკა ლეკაშვილი, რეგიონული ეკონომიკური ინტეგრაცია - მცირე ქვეყნების ეკონომიკური პოლიტიკის კოორდინაციის სრულყოფის მიმართულება, თბ., „უნივერსალი“, 2018, გვ. 18.

ძირითადად პოლიტიკური ხასიათისაა. ჯერ ერთი, ესაა სწრაფვა პოლიტიკური გავლენის განსამტკიცებლად, რაც განსაკუთრებით პატარა ქვეყნებისთვისაა დამახასიათებელი, რომელთათვისაც ინტეგრაციულ ბლოკში მონაწილეობა ყველაზე ეფექტიანი საშუალებაა თავიანთი ინტერესების დასაცავად მრავალმხრივ მოლაპარაკებებში. მეორე, ესაა უსაფრთხოება: უფრო მჭიდრო ეკონომიკური ურთიერთობა საიმედო საშუალებაა სამხედრო-პოლიტიკური კონფლიქტების თავიდან ასაცილებლად.¹⁵

ეკონომიკური ინტეგრაციის სხვადასხვა განმარტება არსებობს. ერთ-ერთი ფართოდ მიღებული განმარტებით, ეს არის პროცესი, რომელშიც ჩართული ორი ან მეტი ქვეყანა ფართოდ განსაზღვრული გეოგრაფიული არეალით ამცირებს სავაჭრო ბარიერების მთელ რიგ შესაძლებლობებს, განვითარებისა და ეკონომიკური მიზნების დაცვისათვის.¹⁶

საზღვრებთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს, რომ ეკონომიკური და პოლიტიკური საზღვარი შეიძლება არ ემტხვეოდეს ერთმანეთს და ზოგჯერ მოხსნილი ბარიერებიც კი არასაკმარისია ქვეყნებს შორის ერთიანი რეგიონული სივრცის ფორმირებისთვის, თუკი, მაგალითად, მათ შორის გეოგრაფიული ბარიერებია მთების ან ზღვების სახით. გარკვეულ უხილავ საზღვრად შეიძლება იქცეს სხვაობები განვითარების დონეებ შორის. მნიშვნელოვანია ინფორმაციის ასიმეტრიული ფლობის პრობლემებიც, რამაც ასევე შეიძლება გამოიწვიოს ეკონომიკური საზღვრების წარმოშობა ინტეგრაციის მონაწილე სახელმწიფოებს შორის, მიუხედავად მიღწეული ინსტიტუციონალური შეთანხმებებისა.

სახელმძღვანელოთა უმრავლესობა მსგავს განმარტებებს გვაძლევს საერთაშორისო რეგიონული ეკონომიკური ინტეგრაციის ფორმების თაობაზე, მიუხედავდ იმისა, რომ ფორმების განსაზღვრაც ინტეგრაციის კლასიფიკაციისადმი მიდგომებზეა დამოკიდებული. ეკონომიკურ ლიტერატურაში უფრო მეტად ვხვდებით რეგიონული ეკონომიკური ინტეგრაციის დაყოფას შემდეგი ძირითადი ფორმების მიხედვით: თავისუფალი ვაჭრობის ზონა, საბაჟო კავშირი, საერთო ბაზარი,

¹⁵ ირინა გუროვა, მსოფლიო ეკონომიკა, თბ., 2014, გვ. 132.

¹⁶ Encyclopedia Britannica <https://www.britannica.com/topic/economic-integration>

ეკონომიკური (ან ეკონომიკური და სავალუტო) კავშირი. ეს ჯგუფები განმარტებულია რიგ სახელმძღვანელოებსა და მონოგრაფიებში¹⁷:

თავისუფალი ვაჭრობის ზონა – ქვეყნების რეგიონული დაჯგუფებაა, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება უბაჟო ვაჭრობა. ინტეგრაციის ამ ფორმის შემთხვევაში წევრი ქვეყნები ახორციელებენ თავისუფალ ვაჭრობას. ასეთი ტიპის შეთანხმებებია თავისუფალი ვაჭრობის ევროპული ასოციაცია (თვეა), რომელიც 1960 წელს შეიქმნა და თავისუფალი ვაჭრობის ჩრდილოამერიკული შეთანხმება (NAFTA).

საბაჟო კავშირის შეთანხმების დროს თავისუფალი ვაჭრობის პირობებს ემატება ერთიანი საგარეო საბაჟო ტარიფი იმ საქონლისათვის, რომელიც გააქვთ ან შემოაქვთ მესამე ქვეყნიდან. საბაჟო კავშირი წევრო ქვეყნების მიერ საერთო სავაჭრო პოლიტიკის მიღებას გულისხმობს. ამგვარი ინტეგრაცია აქვთ ანდის თანამეგობრობისა და კარიბის აუზის რეგიონის ქვეყნებს.

შემდგომი საფეხურია საერთო ბაზარი, სივრცე, რომლის დროსაც ერთიან საბაჟო კავშირს, რომლის ფარგლებშიც ხორციელდებოდა საქონლისა და მომსახურების თავისუფალი მიმოცვლა, ემატება წარმოების ფაქტორების გადაადგილებისათვის თანაბარი პირობები; ეს გულისხმობს სამუშაო ძალისა და კაპიტალის თავისუფალ მოძრაობას. ინტეგრაციის აღნიშნულ საფეხურზე მონაწილე ქვეყნებს შეუძლიათ სარგებლის მიღება შეფარდებითი უპირატესობის რეალიზაციით. საერთო ბაზრის მაგალითია ოთხი ლათინოამერიკული ქვეყნის მიერ შექმნილი სამხრეთ ამერიკის ქვეყნების საერთო ბაზარი.

ეკონომიკური ინტეგრაციის უმაღლესი ფორმად მიჩნეულია ეკონომიკური კავშირი. ზოგიერთ სახელმძღვანელოში გამოყოფილია ქვესაფეხურები, რომელიც იწყება მონეტარული და საბიუჯეტო-სავადასახადო პოლიტიკის კოორდინაციით და გრძელდება სავალუტო კავშირის შექმნით. ეკონომიკური კავშირის ქვეყანა-წევრები მმართველობითი გადაწყვეტილების მიღებას დამოუკიდებლად ვეღარ ახორციელებენ, რაც ხშირად პრობლემურია და კოორდინაციის უმაღლეს დონეს

¹⁷ ირინა გუროვა, მსოფლიო ეკონომიკა, თბ, 2014, გვ. 133; ევა ლეკაშვილი, რეგიონული ეკონომიკური ინტეგრაცია - მცირე ქვეყნების ეკონომიკური პოლიტიკის კოორდინაციის სრულყოფის მიმართულება, თბ., „უნივერსალი“, 2018, გვ. 28-29.

მოითხოვს. შემდგომ საფეხურად მიჩნეულია პოლიტიკური გაერთიანება.

დღეისათვის რეალიზებული ინტეგრაციული დაჯგუფებებიდან ყველაზე მაღალ საფეხურზე - ეკონომიკური კავშირის დონემდე - განვითარდა ევროკავშირი. კავშირის შიგნით ხორციელდება კოორდინირებული ფულად-საკრედიტო და საბიუჯეტო პოლიტიკა, მაგრამ მხოლოდ 19 წევრი ქვეყანა (28-დან გაერთიანებული სამეფოს ჩათვლით) არის სავალუტო კავშირის წევრი.

ეკონომიკური პოლიტიკის ძირითად საკითხებზე ერთიანი გადაწყვეტილების მიღება მეტად რთული პროცესია და ხშირად ახლავს წინააღმდეგობები.

რეგიონული ინტეგრაცია ხშირ შემთხვევაში სავაჭრო პირობების გამარტივებით იწყება, რომელიც პრეფერენციული სავაჭრო შეთანხმებების სახელწოდებითაა ცნობილი. ეს არის შეთანხმებები, რომლის დროსაც განვითარებული ქვეყნების შეღავათიან სავაჭრო პირობებს უწესებენ განვითარებად ქვეყნებს.¹⁸

ურთიერთვაჭრობის პირობების გამარტივებას და შემდგომ მის განვითარებას უფრო ღრმა ინტეგრაციის გზით, რომელსაც, როგორც წესი, არ აქვს სავალდებულო ხასიათი, შეიძლება სხვადასხვა მიზნები ჰქონდეს და მით უფრო, თუ განსხვავებული განვითარების დონის ქვეყნების გაერთიანებაა, შედეგებიც შეიძლება სხვადასხვა მოჰყვეს. ინტეგრაციის ეფექტიანობა ბევრად არის დამოკიდებული ფორმალური სავაჭრო ბარიერების გაუქმებასთან ერთად თანამდევ საკანონმდებლო ჰარმონიზაციასა და კანონების რეალურ განხორციელებაზე. ურთიერთდღარების და ჰარმონიზაციის პროცესები ხანგრძლივია და ზოგჯერ უფრო მეტი დრო მათ რეალურ ცხოვრებაში დანერგვას სჭირდება. ხარისხის, უსაფრთხოების, ტექნიკური სტანდარტები, კონკურენციის პოლიტიკა, მონეტარული და ფინანსური პოლიტიკა, ფინანსური ინსტიტუტების საქმიანობის რეგულირება, გარემოსდაცვითი საკითხები და სხვა, ის მცირე ჩამონათვალია, რომელიც ეტაპორივად მოჰყვება ქვეყანათა მხრიდან უფრო ღრმა ინტეგრაციის განაცხადს.

ის, თუ რა ამოდრავებთ ქვეყნებს ინტეგრაციული დაჯგუფების შესაქმნელად, განზოგადებული სახით შეიძლება ასე ჩამოყალიბდეს:

¹⁸ https://www.wto.org/english/tratop_e/region_e/rtpta_e.htm

✓ ინტეგრაცია ბაზრების გაფართოების და მასშტაბის ეკონომიის მიღების შესაძლებლობას იძლევა. ეს კი უკავშირდება სანახარჯების შემცირებას. თუ ქვეყანაში არიან კომპანიები, რომლებიც ორიენტირებული იქნებიან დანახარჯებში ლიდერობის სტრატეგიით გავიდნენ ბაზარზე, მაშინ, მათთვის დიდი ეფექტი ექნება ბაზრის მასშტაბების გაფართოებას;

✓ ინტეგრაციის მონაწილე სახელმწიფოები ხშირად პოლიტიკური უსაფრთხოების მიზნით იღებენ გადაწყვეტილებას გაერთიანების შექმნაზე, რომელსაც ბუნებრივად მოჰყვება ეკონომიკური სარგებელი. მკვლევართა დიდი ნაწილი ემხრობა მოსაზრებას, რომ რეგიონული დაჯგუფების შექმნა მსოფლიოში უფრო მეტად განპირობებული სწორედ პოლიტიკური მოტივებითაა და რაც შეეხება ეკონომიკურ ურთიერთვალდებულებებს, ის მხოლოდ ამყარებს პოლიტიკურ ერთობას;

✓ ქვეყანათა საერთაშორისო რეგიონული ინტეგრაცია ხშირად სავაჭრო პოლიტიკის ამოცანების გადაწყვეტას ემსახურება. როგორც აღინიშნა, ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაცია ამგვარი ბლოკების შექმნას წევრი სახელმწიფოების მხრიდან, დისკრიმინაციულ ქმედებად განიხილავს, მაგრამ თავდ ინტეგრაციის მონაწილე ქვეყნები მიიჩნევენ, რომ რეგიონული ბლოკის შექმნით უფრო კარგ პირობებს ქმნიან ურთიერთვაჭრობისთვის, ვიდრე ეს შეთავაზებულია მხოლოდ ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის წევრობის დროს;

✓ როცა ინტეგრაცია ეკონომიკურად დაბალგანვითარებულ ქვეყანას მარალგანვითარებულ ქვეყანასთან მჭიდრო კავშირის შესაძლებლობას აძლევს, მას სტრუქტურული გარდაქმნების დამატებითი სტიმულები ეძლევა. ეს მახასიათებელი საბაზრო ეკონომიკაზე გარდამავა ქვეყნებში გამოიკვეთა, რადგან განვითარებული ქვეყნები მეტ ინტერესს იჩენენ, რომ გაერთიანების მონაწილე სხვა ქვეყნებმა საბაზრო რეფორმები დააჩქარონ;

✓ ინტეგრაციულ ბლოკში გაერთიანებამ და შესაბამისად რეგიონული ბაზრის გაფართოებამ შეიძლება ე. წ. „ჩვილი დარგების“ გაძლიერებას შეუწყოს ხელი გასაღების ზრდით და ეროვნულ დარგებს კონკურენტული უპირატესობის მოპოვების შესაძლებლობა მისცეს არა მარტო რეგიონული ინტეგრაციის შიგნით, არამედ

საერთაშორისო ბაზარზე.

როდესაც ინტეგრაციიდან მოსალოდნელ შედეგებზეა საუბარი, უპირველეს ყოვლისა, პრობლემატურია გაზომვი საკითხები. ყველაზე თვალსაჩინო და ხშირ შემთხვევაში ხელმისაწვდომია რეგიონის სავაჭრო დინამიკის შეფასება, ამა თუ იმ წევრი ქვეყნის წილი რეგიონის მთლიან ექსპორტსა და იმპორტში. ინტეგრაციის წარმატების შესახებ მნიშვნელოვანია ასევე შიდა ვაჭრობის მოცულობის ცვლილების შეფასება.¹⁹

რეგიონული ინტეგრაციული დაჯგუფებების საერთაშორისო პრაქტიკა გვიჩვენებს წარმატების და წარუმატებლობის მაგალითებსაც. მაგალითად, ევროკავშირი წარმატებით განვითარდა, ჩრდილოამერიკული თავისუფალი ვაჭრობის ასოციაცია ასევე წარმატებულად ითვლებოდა, მაგრამ აშშ-ის პრეზიდენტ ტრამპის პოლიტიკა გამკაცრდა მონაწილე სახელმწიფოს - მექსიკის მიმართ და შეზღუდვების შემოღების შესახებ გააკეთა განცხადება არაეფექტიანი კავშირების გამო. აფრიკის რეგიონულ დაჯგუფებებში ათწლეულების განმავლობაში უძრაობა იყო.

უმნიშვნელოვანესია კონკურენციის საკითხის განხილვა ინტეგრაციიდან მოსალოდნელ ეფექტებს შორის. მოსალოდნელია, რომ კონკურენცია გაიზრდება, არდგან ინტეგრაციის შედეგად ბაზრის მონაწილეთა რაოდენობა გაიზრდება. ასევე, თუკი რეგიონული გაერთიანებების ინტეგრაციას ექნება ადგილი, თავად ქვეყნებს შორის გაიზრდება მეტოქეობა. კონკურენციული ზეწოლის ობიექტი შეიძლება იყოს მსგავსი საქონელი და მომსახურება და პირველ რიგში მას შედეგად შეიძლება ფასების შემცირება მოჰყვეს. რა თქმა უნდა, ეს მომხმარებლებისთვის ფართო არჩევანს შექმნის და ხელსაყრელ გარემოებად უნდა მივიჩნიოთ, მაგრამ საჭიროა მეორე მხრივაც შევხედოთ ამ შედეგს. რა გავლენა ექნება ეროვნულ მწარმოებლებზე და მზარდი კონკურენციული ზეწოლის ქვეშ მოქცეული ინდუსტრიები იმდენად ხომ არ დაზარალებიან, რომ გავლენას მოახდენენ სხვა დარგებზე ან მოჰყვება სოციალური პრობლემების გართულება და საბოლოოდ საფრთხეს შეუქმნიან ეროვნული ეკონომიკის ფუნქციონირებას.

¹⁹ World Bank: RTAs, Effect on Trade, 2005, p. 38.

ინტეგრაციის მოსალოდნელი შედეგების განჭვრეტა ერთობ რთული საქმეა და მისი გაზომვის საყოველთაოდ მიღებული წესი არ არსებობს. თუ საკითხი ეხება სრულიად ერთგვაროვანი საქონლის ან ერთი სახეობის, მაგალითად, ინვესტიციების ბაზრების კონვერგენციას, შესაძლებელია შეფასება გაკეთდეს იმის მიხედვით, თუ როგორ შეიცვლება ფასები. როდესაც საკითხი ფართო ეკონომიკურ ინტეგრაციაზეა, მით უფრო კომპლექსური ხდება შეფასების ობიექტი და დაუზუსტებელი ხდება. ის შეიძლება ეხებოდეს ეკონომიკური პოლიტიკის სხვადასხვა სახესა და ინსტრუმენტს. ინტეგრაციის მოსალოდნელი შედეგები დამოკიდებული ხდება მთელ რიგ ფაქტორებზე, რომელთაგან, მაგალითად, ქვეყანათა ეკონომიკური განვითარების განსხვავებული დონეების შესახებ უკვე აღვნიშნეთ, მაგრამ ასევე მნიშვნელოვანია გარე ფაქტორები და შიდა საორგანიზაციო საკითხები, როგორცაა კონსულტაციები, კოოპერაცია, კოორდინაცია, რეგულაციების დაახლოება, ერთიანი პოლიტიკის მიღწევა. როგორც ჩანს, აღნიშნული მიმართულებებით გაწეული საინტეგრაციო ძალისხმევების გაზომვა მეტად რთულია.

საერთო ჯამში, მკვლევარები მიიჩნევენ, რომ რეგიონული ინტეგრაციის ეკონომიკური შედეგები არაერთგვაროვანია. საჭიროა ყურადღების გამახვილება შემდეგ შედეგებზე: კონკურენციის ეფექტი, მასშტაბის ეფექტი, ვაჭრობის და ალოკაციის (განთავსების) ეფექტი.

კონკურენციის ეფექტს და მასშტაბის ეფექტს აქვს დადებითი მნიშვნელობა ინტეგრაციული ბლოკისათვის, თუმცა ხაზგასასმელია ის გარემოება, რომ პოზიტიური ეფექტი გონივრული და გააზრებული სამთავრობო პოლიტიკებით მიიღწევა. ხშირად ეს ეფექტი ეკონომიკის სექტორულ სტრუქტურაზე არ ახდენს გავლენას და ბაზრების გაერთიანების შედეგად უვცლელი რჩება.

ვაჭრობის და ალოკაციის ეფექტში მოიაზრება ვაჭრობის სასაქონლო და გეოგრაფიული სტრუქტურის ცვლილებები და სავაჭრო ორიენტირების ცვლილება, რაც განპირობებული შეიძლება იყოს იმით, რომ ბლოკის შიგნით მოხსნილი სავაჭრო შეზღუდვები წევრ ქვეყნებს შიდა ვაჭრობისკენ უბიძგებს. თუ ინტეგრაციული დაჯგუფება დიდია და მასშტაბურად განხორციელდება უცხოური საქონლის

ჩანაცვლება წევრი-ქვეყნების მიერ წარმოებული პროდუქციით, ადგილი ექნება შიდა ვაჭრობის გაფართოებას, მაგრამ არაწევრ ქვეყნებთან ვაჭრობა შეიკვეცება. ამიტომ საერთო შედეგი ამ ორი ნაკადის ურთიერთშეჯერებით უნდა შეფასდეს.

გასათვალისწინებელია გარემოებები, როდისაა უფრო ხელსაყრელი ინტეგრაცია:

რაც უფრო მაღალია საბაჟო ტარიფის დონე ინტეგრაციამდე, მით მეტია ალბათობა იმისა, რომ ვაჭრობის ფორმირების ეფექტი გადაწონის გადახრის ეფექტს და, პირიქით; რაც უფრო დაბალია საერთო საბაჟო ტარიფის დონე მესამე ქვეყნების მიმართ, მით ნაკლებია იმის ალბათობა, რომ ვაჭრობის გადახდის ეფექტი გადაამეტებს ფორმირების ეფექტს; რაც მეტი ქვეყანა ინტეგრირდება ერთმანეთთან და რაც მეტია მათი სიდიდე, მით მეტია ალბათობა, რომ ვაჭრობის ფორმირების ეფექტი გადაამეტებს გადახრის ეფექტს; რაც უფრო მსგავსია ქვეყნების ეკონომიკური განვითარების დონე და ძლიერია მათ შორის კონკურენცია, მით მეტია ვაჭრობის ფორმირების ეფექტის გადახრის ეფექტზე გადამეტების ალბათობა.²⁰

თუ ინტეგრაციას ვაჭრობის გაფართოება და ორიენტაციის ცვლილება მოჰყვება შედეგად, შეიძლება საწარმოო სტრუქტურის მნიშვნელოვანი ცვლილებები გამოიწვიოს ქვეყანაში და შედეგად გავლენა მოახდინოს მწარმოებლებზეც, მომხმარებლებზეც და სახელმწიფო შემოსავლებზეც. აღნიშნული თუ გამოიწვევს ეკონომიკის ახალი სექტორების განვითარებას, შეიძლება ხელსაყრელი აღმოჩნდეს საბოლოო ჯამში, მაგრამ სტრუქტურული ცვლილებები შეიძლება ეკონომიკის სხვა სექტორების ხარჯზე წარიმართოს. თუ არაკონკურენტუნარიანი დარგები მოსპობა მოჰყვება ამ პროცესს და პარალელურად ბალანსდება წარმატებული სექტორის განვითარებით, ინტეგრაციის შედეგი შეიძლება დადებითად შეგფასდეს, მაგრამ თუ პროცესი დაუბალანსებელია სექტორული ან რეგიონული თვალსაზრისით, სოციალური პრობლემების გამწვავება გარდაუვალია. შედეგები დამოკიდებულია ინტეგრაციის შედეგად შედარებით უპირატესობების ეფექტიან გამოყებასა და მიზანმიმართულ სამტავრობო პოლიტიკაზე. თუ შედეგად რიგმა ქვეყნებმა ზარალი

²⁰ ეკა ლევაშვილი, რეგიონული ეკონომიკური ინტეგრაცია - მცირე ქვეყნების ეკონომიკური პოლიტიკის კოორდინაციის სრულყოფის მიმართულება, თბ., „უნივერსალი“, 2018, გვ. 45-46.

განიცადეს და რიგი წევრი-ქვეყნები კი წარმატებით ადაპტაციური პერიოდის აუცილებლობა წარმოიშობა. ასეთ დროს განსაკუთრებული ყურადღება ეკონომიკურად ნაკლებადგანვითარებული ქვეყნების მიერ მოწინავე ტექნოლოგიების ათვისებას და სამუშაო ძალის გადამზადებას უნდა დაეთმოს. გრძელვადიანი ორინტირები სწორად უნდა წარიმართოს ახალ ბაზრებზე კონკურენტუნარიანობის ამადლების საპასუხოდ.

რეგიონული ინტეგრაციის პროცესში მნიშვნელოვანია გათვალისწინებული იყოს, რომ შესაძლებელია მცირედან დაწყება, როცა თანამშრომლობა ვიწრო სფეროთი განისაზღვრება. სასარგებლოა გლობალური აზროვნება, რაც ქვეყნებს მრავალმხრივი რეჟიმების გამოყენების შესაძლებლობას აძლევს მსოფლიო არენაზე გასასვლელად და ინტეგრაციის თანამევი ეფექტების შესაძლებლობის გამოყენებით განვითარების პროცესების სტიმულირება ხორციელდება.

თავი II. BSEC როგორც სახელმწიფოთაშორისი რეგიონული ინტეგრაციული დაჯგუფება

2.1. BSEC-ის წარმოშობა, მისია და ეკონომიკური თანამშრომლობის ძირითადი მიმართულებები²¹

BSEC არის აბრევიატურა და ნიშნავს შავი ზღვის ეკონომიკურ თანამშრომლობას (Black Sea Economic Cooperation). ამ სახელწოდებით მრავალმხრივმა პოლიტიკურმა და ეკონომიკურმა ინიციატივამ მას შემდეგ დაიწყო ფუნქციონირება, რაც მონაწილე სახელმწიფოთა მეთაურებმა ხელი მოაწერეს სტამბოლის სამიტის დეკლარაციას და ბოსფორის შეთანხმებას.

1999 წლის 1 მაისს ძალაში შევიდა BSEC-ის ქარტია და აღნიშნულმა ინიციატივამ სამართლებრივი ერთეულის სტატუსი შეიძინა. იგი ტრანსფორმირდა როგორც სრულფასოვნად მოქმედი რეგიონული ეკონომიკური ორგანიზაცია და ამ დროიდან იწოდება როგორც შავი ზღვის ეკონომიკური თანამშრომლობის ორგანიზაცია.²²

11 ქვეყნა, რომელმაც ჯერ კიდევ 1992 წლის 25 ივნისს მოაწერა ხელი შავი ზღვის ეკონომიკური თანამშრომლობის ინიციატივას სტამბოლში, იყო: ალბანეთი, სომხეთი, აზერბაიჯანი, ბულგარეთი, საქართველო, საბერძნეთი, მოლდოვა, რუმინეთი, რუსეთის ფედერაცია, თურქეთი და უკრაინა. ორგანიზაციას სერბეთი 2004 წლიდან შეუერთდა.

აღნიშნულ სახელმწიფოთა მთავრობებმა მხედველობაში მიიღეს გლობალური და ევროპის მასშტაბით დინამიკურად განვითარებადი მოვლენები და ეგრეთ წოდებული „ბოსფორის განცხადება“ შეიმუშავეს. დეკლარაციას სტამბოლში მოაწერეს ხელი მთავრობათა მეთაურებმა და ამგვარად დაფუძნდა BSEC-ის რეგიონული თანამშრომლობის ორგანიზაცია. მისი ფუძემდებლური პრინციპები შეესაბამება ჰელსინკის დასკვნითი აქტს, ევროპაში უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის (OSCE) მიერ მიღებულ დოკუმენტებსა და საერთაშორისო სამართლის სხვა საყოველთაოდ აღიარებული პრინციპებს.

²¹ მოცემული ქვეთავი ძირითადად ეყრდნობა შავი ზღვის ეკონომიკური თანამშრომლობის ინტეგრაციული დაჯგუფების ვებ-გვერდსა და საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ვებ-გვერდზე განთავსებულ შესაბამის ოფიციალურ მასალებს.

²² <http://www.bsec-organization.org/>

BSEC-ის მთავარ მიზნებს წარმოადგენს რეგიონის ეკონომიკური განვითარება და სტაბილურობა, წვერი ქვეყნების ხალხის კეთილდღეობა და შავი ზღვის სივრცეში დემოკრატიული პროცესების ხელშეწყობა.²³

ოფიციალური შეფასებებით, BSEC-მა თავისი არსებობის თითქმის სამი ათწლეულის განმავლობაში დაამტკიცა სიცოცხლისუნარიანობა და სათავე დაუდო თანამშრომლობის რიგ მიმართულებებს, რითაც ხელი შეუწყო შავი ზღვის რეგიონის განვითარებას. მისი, როგორც ორგანიზაციის აქტიური საქმიანობის შედეგია ის, რომ საერთაშორისო რეგიონალურ ეკონომიკურ ორგანიზაციად გარდაქმნა.

ისევე როგორც ნებისმიერ ორგანიზაციას, BSEC-საც ნორმალური ფუნქციონირებისათვის რიგი სტრუქტურული ერთეულები სჭირდებოდა. მათ გარკვეული ცვლილებები განიცადეს საქმიანობის საჭიროებებიდან გამომდინარე.

ინტეგრაციული დაჯგუფების მთავარი რეგულარული ორგანო და BSEC-ის გადაწყვეტილების მიმღები არის საგარეო საქმეთა მინისტრთა საბჭო (CMFA). ამ სტრუქტურული ერთეულის სხდომების მოსამზადებლად, როგორც წესი, წინასწარ ტარდება უფროსი თანამდებობის პირთა კომიტეტის (SOM) შეხვედრა.

BSEC-ს გააჩნია მუდმივმოქმედი საერთაშორისო სამდივნო (BSEC PERMIS). მისი შტაბ-ბინა მდებარეობს სტამბოლში. ორგანიზაციის ძირითადი მოცულობითი სამუშაოების განხორციელებას სწორედ ეს სამდივნო უზრუნველყოფს. BSEC-ის ამჟამინდელ გენერალურ მდივანს წარმოადგენს მაიკლ კრისტიდესი (საბერძნეთი).

შავი ზღვის ეკონომიკური თანამშრომლობის ინტეგრაციული დაჯგუფების ფარგლებში შექმნილია სამუშაო ჯგუფები, რომლებიც რეგულარულად ატარებენ სექტორული შეხვედრებს სამუშაო ფორმატში. ისინი თანამშრომლობის საკმაოდ ფართო სპექტრს მოიცავენ: ენერგეტიკა; ეკონომიკისა და ვაჭრობის განვითარების საკითხები; მცირე და საშუალო საწარმოება; ტურიზმი; ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის საკითხები; ტრანსპორტი და კომუნიკაცია; სტატისტიკისა და ინფორმაციის გაცვლა; სამეცნიერო-ტექნოლოგიური საკითხები; გარემოს დაცვა; განათლება; ჯანდაცვა და ფარმაცევტიკა; სოფლის მეურნეობა; საგანგებო

²³ <http://www.mfa.gov.ge/MainNav/ForeignPolicy/MultilateralRelations/BSEC.aspx>

სიტუაციების საკითხები; საბანკო და საფინანსო სფერო; ინსტიტუციონალური განახლებისა და მდგრადი მმართველობის საკითხები; საბაჟო თანამშრომლობა; კულტურა; საორგანიზაციო საკითხები.

BSEC-ის დამკვირვებელი ქვეყნებია: ავსტრიის რესპუბლიკა, ისრაელის სახელმწიფო, იტალიის რესპუბლიკა, პოლონეთის რესპუბლიკა, სლოვაკეთის რესპუბლიკა, ეგვიპტის არაბთა რესპუბლიკა, ტუნისი, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა, საფრანგეთის რესპუბლიკა, ბელორუსი, ჩეხეთის რესპუბლიკა, ხორვატიის რესპუბლიკა, აშშ. დამკვირვებელ ორგანიზაციებს კი წარმოადგენენ საერთაშორისო შავი ზღვის კლუბი, ენერგეტიკული ქარტიის სამდივნო და შავი ზღვის დაბინძურებისაგან დაცვის კომისია.

BSEC-ის საქმიანობის ფართო სპექტრიდან გამომდინარე, მისი სრულფასოვანი ფუნქციონირებისათვის მნიშვნელოვანია თანამშრომლობა დარგობრივი სპეციფიკის გათვალისწინებით სექტორული დიალოგის ფორმატში შდემდეგ ორგანიზაციებთან: ზღვის საერთაშორისო გემთმფლობელთა ასოციაცია (BISNA), შავი და აზოვის ზღვების პორტების ასოციაცია (BASPA), BSEC-ის რეგიონში საავტომობილო ტრანსპორტის ასოციაციათა კავშირი (BSEC-URTA), შავი ზღვის რეგიონის გემთმშენებელთა და გემთშემკეთებელთა ასოციაცია (BRASS), კომუნიკაციების დარგში რეგიონალური თანამეგობრობა (RCC), მცირე და საშუალო საწარმოების საერთაშორისო ქსელი (INSME).

ორგანიზაციას თვმჯდომარეობს ქვეყანა ანბანური რიგითობით და როტაცია ექვს თვეში ერთხელ ხორციელდება.

BSEC-ის ფუნქციონირებასთან მჭიდროდაა დაკავშირებული შავი ზღვის ვაჭრობისა და განვითარების ბანკის (BSTDB) საქმიანობა. აღნიშნული ბანკი დამფუძნებელ შეთანხმებას 1994 წლის 30 ივნისს თბილისში მოეწერა ხელი, როდესაც ჩატარდა შავი ზღვის ეკონომიკური თანამშრომლობის (BSEC) მონაწილე ქვეყნების (ალბანეთი, სომხეთი, აზერბაიჯანი, ბულგარეთი, საქართველო, საბერძნეთი, მოლდოვა, რუმინეთი, რუსეთის ფედერაცია, თურქეთი და უკრაინა) საგარეო საქმეთა მინისტრების მე-4 შეხვედრა. ბანკის შტაბ-ბინა საბერძნეთში, ქ. თესალონიკში

მდებარეობს. ბანკის მიზნები ფართოა და მისი ფუძემდებლური პრინციპები მსოფლიო ბანკისა და ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის ანალოგიურია. ქვეყნების ეკონომიკური და ფინანსური მოთხოვნილებების გათვალისწინების ფონზე ბანკის ფუნქციონირების უმთავრესი მიზანი რეგიონის ქვეყნებში გარდამავალი პროცესების ხელშეწყობა, რეგიონული პროექტებისა და პროგრამების დაფინანსება, მონაწილე სახელმწიფოებს შორის ვაჭრობის გაფართოება და რეგიონის ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობა იყო. ბანკის საწესდებო კაპიტალი ერთ მილიარდი სესხების სპეციალური უფლებებია (SDR). საქართველოს წილი შეადგენს ბანკის მთელი საწესდებო ფონდის 1%-ს ანუ ათი ათას აქციას, რომელთა მთლიანი ნომინალური ღირებულებაა 10 მილიონი (10.000.000) SDR-ია.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს შავი ზღვის კვლევის საერთაშორისო ცენტრის (ICBSS) შესახებ, რომელიც 1998 წელს ჩამოყალიბდა როგორც არაკომერციული ინსტიტუტი, თანამშრომლობს ევროკავშირთან (ჰყავს მოწვეული სამი თანამშრომელი) და მიზნად ისახავს პრაქტიკული კვლევების განხორციელებას აკადემიურ, ტექნოლოგიურ და სამეცნიერო სფეროებში. ორგანიზაციის ფორმატი თანამედროვე გამოწვევებისადმი საპასუხო ღონისძიებების შემუშავებაში თანამშრომლობის საშუალებას იძლევა.

შავი ზღვის საპარლამენტო ასამბლეა (PABSEC) შეიქმნა 1993 წელს წევრი ქვეყნების საკანონმდებლო ორგანოებს შორის ურთიერთობების განვითარებისა და BSEC-ის ფარგლებში დასახული მიზნების განხორციელებისათვის სამართლებრივი მხარდაჭერისა და ჰარმონიზაციის მიზნით. შტაბ-ბინა მდებარეობს ქ. სტამბოლში.

შავი ზღვის რეგიონის ევროპულ და მსოფლიო ეკონომიკურ პროცესებში ინტეგრაციის მხარდასაჭერად ფუნქციონირებს BSEC-ის ბიზნეს საბჭო (შეიქმნა 1992 წელს); სტატისტიკური მონაცემებისა და ეკონომიკური ინფორმაციის გაცვლის BSEC-ის საკოორდინაციო ცენტრი (გამოცემულია პუბლიკაციები); პროექტების განვითარების ფონდი; მიღებულ იქნა BSEC-ის ეკონომიკური დღის წესრიგი მომავლისათვის, რომელიც წარმოადგენს ყოვლისმომცველ დოკუმენტს და ასახავს თანამშრომლობის ძირითად პრიორიტეტულ სფეროებს.

2. 1. BSEC-ის როლი გლობალურ ვაჭრობაში

ქვეყნებს, რომლებიც ინტეგრაციაში გაწევრანების შესახებ იღებენ გადაწყვეტილებას, აქვთ მოლოდინი, რომ საერთაშორისო და რეგიონული ორგანიზაციები წევრი ქვეყნების ინტერესების დამცველის როლს შეასრულებენ საერთაშორისო არენაზე. ოფიციალური განაცხადების მიხედვით BSEC-მა ამ თვალსაზრისით კონსტრუქციული და მნიშვნელოვანი როლი უნდა შეასრულოს²⁴. ინტეგრაციის ფარგლებში თანამშრომლობით მოსალოდნელი ეკონომიკური ურთიერთობების ზრდის ხელშეწყობა, წევრი ქვეყნების განვითარების ფართო სპექტრით მხარდაჭერა და ზოგადად, მონაწილე ქვეყნებსა და რეგიონში კეთილდღეობის საერთო დონის ამაღლება.

შავი ზღვის რეგიონს გააჩნია მნიშვნელოვანი გეოპოლიტიკური მდებარეობა. იგი ერთდროულად ესაზღვრება, როგორც აღმოსავლეთსა და დასავლეთს, ასევე ჩრდილოეთსა და სამხრეთს. ამასთანავე, BSEC-ს, რომელიც მოიცავს 20 მილიონ კვადრატულ კილომეტრსა და 330 მილიონზე მეტ მოსახლეობას, უდიდესი ეკონომიკური პოტენციალი და მნიშვნელობა გააჩნია.

რეგიონის ცალკეული ქვეყნის ეკონომიკური ზრდის დინამიკა სხვადასხვაგვარია, რაც ნათლად ჩანს ცხრილში 1 მოცემული მონაცემებით, რომელიც საერთაშორისო სავალუტო ფონდის მონაცემთა ბაზების მიხედვით არის შედგენილი. მსოფლიო რეალური მშპ-ის საშუალო მაჩვენებელთან შედარებით შავი ზღვის რეგიონის რიგ ქვეყნებში მაღალი ეკონომიკური ზრდაა მოსალოდნელი. მათ შორის საქართველოს მშპ-ის ზრდის პროგნოზი ყველა დანარჩენ ქვეყანას აღემატება და 5,2%-ს შეადგენს. ამ მაჩვენებლით ბოლო ადგილზეა საბერძნეთი და მსოფლიო საშუალო მაჩვენებელს ჩამორჩება თითქმის ყველა ქვეყანა, გარდა საქართველოსი, მოლდოვასა და სომხეთისა. თითქმის ყველა ქვეყანამ განიცადა 2008 წლის საფინანსო-ეკონომიკური კრიზისის მყისიერი დარტყმა, გარდა აზერბაიჯანისა, რაც ნათლად ჩანს ნახაზზე 3.


²⁴ <http://www.mfa.gov.ge/MainNav/ForeignPolicy/MultilateralRelations/BSEC.aspx>

ცხრილი 1

რეალური მშპ-ის წლიური ცვლილება და პროგნოზი შავი ზღვის ეკონომიკური თანამშრომლობის ქვეყნებსა და მსოფლიოში, %, 2008-2024 წწ.²⁵

Real GDP growth (Annual percent change)	2008	2009	2010	2011	2012	2013	2014	2015	2016	2017	2018	2019	2020	2021	2022	2023	2024
Albania	7.5	3.4	3.7	2.5	1.4	1	1.8	2.2	3.3	3.8	4.1	3	4	4	4	4	4
Armenia	6.9	-14.1	2.2	4.7	7.1	3.3	3.6	3.3	0.2	7.5	5.2	6	4.8	4.5	4.5	4.5	4.5
Azerbaijan	10.6	9.4	4.8	-1.6	2.2	5.8	2.8	1	-3.1	0.2	1	2.7	2.1	2.1	2.2	2.3	2.4
Bulgaria	6	-3.6	1.3	1.9	0	0.5	1.8	3.5	3.9	3.8	3.1	3.7	3.2	3	2.8	2.8	2.8
Georgia	2.4	-3.7	6.2	7.2	6.4	3.4	4.6	2.9	2.8	4.8	4.7	4.6	4.8	5	5.2	5.2	5.2
Greece	-0.3	-4.3	-5.5	-9.1	-7.3	-3.2	0.7	-0.4	-0.2	1.5	1.9	2	2.2	1.7	1.3	0.9	0.9
Moldova	7.8	-6	7.1	5.8	-0.6	9	5	-0.3	4.4	4.7	4	3.5	3.8	3.8	3.8	3.8	3.8
Romania	9.3	-5.5	-3.9	2	2.1	3.5	3.4	3.9	4.8	7	4.1	4	3.5	3	3	3	3
Russian Federation	5.2	-7.8	4.5	5.1	3.7	1.8	0.7	-2.3	0.3	1.6	2.3	1.1	1.9	2	2	1.9	1.8
Turkey	0.8	-4.7	8.5	11.1	4.8	8.5	5.2	6.1	3.2	7.5	2.8	0.2	3	3	3	3.5	3.5
Ukraine	2.2	-15.1	4.1	5.5	0.2	0	-6.6	-9.8	2.4	2.5	3.3	3	3	3.1	3.2	3.3	3.3
World	3	-0.1	5.4	4.3	3.5	3.5	3.6	3.5	3.4	3.8	3.6	3	3.4	3.6	3.6	3.6	3.6

²⁵ შედგენილია საერთაშორისო სავალუტო ფონდის მონაცემთა ბაზაზე დაყრდნობით, www.imf.org



ნახ. 3. რეალური მშპ-ის წლიური ცვლილება შავი ზღვის ეკონომიკური თანამშრომლობის ქვეყნებსა და მსოფლიოში 2008 წლის კრიზისშემდგომ პერიოდში, %.²⁶

ზრდის პროგნოზების გათვალისწინებით შავი ზღვის რეგიონის ქვეყნებისთვის უფრო ხელსაყრელი იქნება მაღალი ეკონომიკური ზრდის ქვეყნებთან სავაჭრო ურთიერთობების ინტენსიფიკაცია.

შავი ზღვის რეგიონი საექსპორტო თვალსაზრისით დაახლოებით 6%-იან წილს იკავებს ევროკავშირის მთლიან ექსპორტში, საიმპორტო თვალსაზრისით კი 6,4%-ს. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს, რომ საწვავის ხვედრითი წილი ამ რეგიონიდან ევროკავშირის მთლიანი იმპორტის 23,6 %-ს შეადგენდა 2016 წელს.

²⁶https://www.imf.org/external/datamapper/NGDP_RPCH@WEO/WEO_WORLD/ARM/AZE/BGR/GEO/ALB/GRC/MDA/ROU/UKR/RUS/TUR

ევროკავშირისა და BSEC-ის ქვეყნების ვაჭრობის სტრუქტურა, 2016 წ.²⁷

საქონლის სახეობა	ევროკავშირის ექსპორტი BSEC-ში, მლრდ ევრო	BSEC-ში ევროკავშირის ექსპორტის სასაქონლო სტრუქტურა, %	BSEC-ში ევროკავშირის ექსპორტის წილი ევროკავშირის მთლიან ექსპორტში %	ევროკავშირის იმპორტი BSEC-დან, მლრდ ევრო	BSEC-დან ევროკავშირის იმპორტის სასაქონლო სტრუქტურა, %	BSEC-დან ევროკავშირის იმპორტის წილი ევროკავშირის მთლიან იმპორტში, %
ყველა პროდუქტი	308.9	100.0	5.8	332.7	100.0	6.4
საკვები	25.6	8,3	4.9	26.5	8.0	5.2
სასოფლო- სამეურნეო ნედლეული	4.0	1,3	5,3	4,1	1,2	5,5
მანქანები და ლითონები	4,2	1,3	3,1	19,4	5,8	11,8
საწვავი	9,5	3,1	4,2	107,1	32,2	23,6
გადამუშავებული საქონელი	253,0	81,9	6,1	153,4	46,1	4,1
ქიმიური პროდუქტები	54,9	17,8	6,4	15,4	4,6	2,1
მანქანები და სატრანსპორტო მოწყობილობა	124,3	40,2	6,0	66,1	19,9	3,6
რკინა და ფოლადი	8,1	2,6	6,3	11,6	3,5	9,3
ტექსტილის ბოჭკოები, ნართი, ქსოვილები და ტანსაცმელი	15,4	5,0	8,1	28,1	8,5	10,9

როგორც ცხრილი 2-ის მონაცემები გვიჩვენებს, ევროკავშირისთვის უფრო მეტად საექსპორტო თვალსაზრისით მნიშვნელოვანია შავი ზღვის აუზის ქვეყნებში გადამუშავებული საქონლის და მანქანებისა და სატრანსპორტო მოწყობილობების რეალიზაცია, რომელთა წილად 2016 წელს რეგიონში განხორციელებული ექსპორტის 81,9% და 40,2 % მოდიოდა შესაბამისად.

²⁷ Evangelos Siskos, Konstantia Darvidou, Bilateral Trade and Tourism Relations between the EU and BSEC Countries Problems and Perspectives in Management, Volume 16, Issue 4, 2018 (ავტორებს გაანგარიშებული აქვთ UNCTAD-ის მონაცემების მიხედვით).

რაც შეეხება იმპორტს, აღნიშნული საწვავის უდიდესი მნიშვნელობის გარდა, რომელიც ევროკავშირის მიერ იმპორტირებული პროდუქციის თითქმის მესამედს შეადგენდა 2016 წელს, დიდ ადგილს იკავებს იგივე სასაქონლო ჯგუფები, რაც ექსპორტში გამოიკვეთა: გადამუშავებული საქონელი - შავი ზღვის ქვეყნებიდან მთლიანი იმპორტის 46,1%-ით და მანქანები და მოწყობილობები - 19,9%-ით.

ევროკავშირის ქვეყნებისთვის შავი ზღვის რეგიონს სტრატეგიული მნიშვნელობა გააჩნია სატრანსპორტო ინფრასტრუქტურისა და მარშრუტების გათვალისწინებით, რაც საკმაოდ მიმზიდველია ინვესტიციების განხორციელებისთვის.

შავი ზღვის ეკონომიკური თანამშრომლობის ორგანიზაციის (BSEC) ერთ-ერთ მთავარ მიზანს წარმოადგენს თანამშრომლობის ყველა სტრატეგიული მიმართულების მოცვა. ამ მხრივ, შავი ზღვის რეგიონის გეოპოლიტიკური მდებარეობის გათვალისწინებით, განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს თანამშრომლობა ტრანსპორტისა და ენერჯეტიკის დარგში, რაც განპირობებულია აღნიშნულ სფეროებში მიმდინარე და დაგეგმილი გლობალური მნიშვნელობის პროექტების არსებობით²⁸.

BSEC-ის რეგიონს დიდი პოტენციალი აქვს როგორც რეგიონისშიდა ტურიზმის ისე საერთაშორისო ტურიზმის ზრდისთვის. გრავიტაციის მოდელზე დაყრდნობით მკვლევართა მიერ ჩატარებულმა გაანგარიშებებმა გამოავლინა, რომ გეოგრაფიულ სიახლოვეს დიდი მნიშვნელობა აქვს რეგიონის ტურიზმის განვითარებისთვის.²⁹

ვაჭრობის, ინვესტიციების, კაპიტალის ბაზრების, ფინანსების და ადამიანების სხვა ადამიანების კონტაქტები ყოველთვის კარგი დასაწყისია უფრო დიდი რეგიონალიზმისთვის. ამ თვალსაზრისით, შავი ზღვის რეგიონს აქვს მრავალი უპირატესობა, როგორცაა კულტურული, პოლიტიკური და ეკონომიკური მრავალფეროვნება, გეოგრაფიული სიახლოვე, ახალგაზრდა და განათლებული სამუშაო ძალა, ეკონომიკურ-პოლიტიკური ინტერესის გადაფარვა და ა.შ. თუ არა

²⁸ <http://www.mfa.gov.ge/MainNav/ForeignPolicy/MultilateralRelations/BSEC.aspx>

²⁹ Evangelos Siskos, Konstantia Darvidou, Bilateral Trade and Tourism Relations between the EU and BSEC Countries Problems and Perspectives in Management, Volume 16, Issue 4, 2018

ინტეგრაცია, რეგიონალური ეკონომიკური თანამშრომლობა საჭიროა რეგიონში ეკონომიკური და პოლიტიკური პრობლემების მოსაგვარებლად.

BSEC-ის რეგიონის ფარგლებში თანამშრომლობის პოტენციალა აანალიზებენ მკვლევარები და აღნიშნავენ, რომ მიუხედავად ძლიერი ოფიციალური ინსტიტუტის არსებობისა, რომელსაც თან ახლავს რეგიონალიზმის მდიდარი საფუძვლები, ეკონომიკური საქმიანობის რეგიონალიზაცია სუსტია და განუვითარებელი რჩება შავი ზღვაში. თავისუფალი სავაჭრო შეთანხმებებისა და რეგიონული სავაჭრო შეთანხმებების არსებული სავაჭრო მონაცემების ემპირიული ანალიზი აჩვენებს, რომ ერთ – ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ფაქტორი, რომელიც ხელს უშლის შავი ზღვის ეკონომიკური საქმიანობის რეგიონალიზაციას არის ის, რომ რეგიონში არსებობს ექსკლუზიური რეგიონალიზმის არჩევანი. აქედან გამომდინარე, იოლი არ არის იმის ვარაუდი, რომ ახლო მომავალში რეგიონში სრულმასშტაბიანი რეგიონალიზაციის პროცესის განხორციელება³⁰.

სხვა მკვლევარები პოლიტიკურ ფაქტორზე ამახვილებენ ყურადღებას, რომ რუსეთმა შექმნა შავი ზღვის რეგიონისთვის „რისკების ატლასი“ რომელიც მოიცავს შავი ზღვისპირა სახელმწიფოს ბალკანეთისა და კავკასიის ტერიტორიებზე. ამასთან იგი დიდ მნიშვნელობას ანიჭებს შავი ზღვის ეკონომიკური თანამშრომლობის ორგანიზაციის (BSEC) მუშაობას³¹.

რეგიონის ფარგლებში დაგეგმილი მრავალმხრივი თანამშრომლობა ტელეკომუნიკაციების, სოფლის მეურნეობის, მცირე და საშუალო საწარმოების, მეცნიერებისა და ტექნოლოგიების დარგებში და ა.შ. ხელშემწყობ გარემოს ქმნის სავაჭრო თანამშრომლობისთვის. საქართველოსთან მიმართებით აღსანიშნავია, რომ ინტეგრაციის მონაწილე რიგ ქვეყნებთან საქართველოს გაფორმებული აქვს თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმება (თურქეთი, უკრაინა, სომხეთი, აზერბაიჯანი), ხოლო ბულგარეთთან, საბერძნეთსა და რუმინეთთან, როგორც

³⁰ Arzu AL, Hakan MEHMETCIK, Economic Regionalization and Black Sea in a Comparative Perspective, Marmara University Journal of Political Science, 2017, ISSN 2147-6934, გვ. 29

³¹ Alina BUZĂIANU, THE CHALLENGES OF REGIONAL COOPERATION. THE EUROPEAN BLACK SEA DIMENSION, Research and Science Today No. 1(9)/2015

ევროკავშირის წევრ ქვეყნებთან ვაჭრობაში ხელმძღვანელობს ასოცირების ხელშეკრულებით მინიჭებული თავისუფალი ვაჭრობის რეჟიმით.


ურთიერთობები ევროკავშირთან ძალიან ინტენსიურად ვითარდება. BSEC-ის მხრიდან მიღებულ იქნა BSEC-ევროკავშირის თანამშრომლობის პლატფორმა (1999 წელი, ქ. თბილისი) და BSEC-ევროკავშირის თანამშრომლობის შესახებ სამუშაო დოკუმენტი (2007 წელი, ქ. სტამბოლი), რასაც ევროკავშირის მხრიდან საპასუხოდ მოჰყვა "Black Sea Synergy Initiative" (2007 წელი, ბრიუსელი) დოკუმენტის მიღება. ევროკავშირში ბულგარეთისა და რუმინეთის გაწევრიანების შემდეგ ეს ორგანიზაცია უფრო მზარდ დაინტერესებას გამოხატავს BSEC-ით მიმართ, რადგანაც დღეისათვის ევროკავშირის საზღვრები უკვე უშუალოდ შავი ზღვის რეგიონზე გადის.³²

³² <http://www.mfa.gov.ge/MainNav/ForeignPolicy/MultilateralRelations/BSEC.aspx>

თავი III. BSEC-ის ქვეყნებთან საქართველოს ვაჭრობის ანალიზი

საქართველოსთვის მეტად მნიშვნელოვანია გეოგრაფიულად ახლომდებარე ქვეყნებთან სავაჭრო ურთიერთობების განვითარება. ამ თვალსაზრისით სასარგებლოა BSEC-ის ქვეყნებთან არსებული სავაჭრო ურთიერთობების შეფასება, რადგან ეს ინტეგრაციული დაჯგუფება საქართველოს მეზობელ ქვეყნებს აერთიანებს.


საქართველოს საგარეო ვაჭრობის ზრდასთან ერთად დინამიკურად იზრდებოდა აღნიშნული დაჯგუფების წევრ ქვეყნებთან სავაჭრო ბრუნვაც (ნახ. 4).



ნახ. 4. საქართველოს მთლიანი სავაჭრო ბრუნვა, მ. შ. BSEC-თან, 1995-2018 წწ., ათასი აშშ დოლ.³³

BSEC-ის დაჯგუფებაზე მოდიოდა საქართველოს სავაჭრო ბრუნვის თითქმის ნახევარი (1995-1996 წლებში შესაბამისად 64-63 %) და ეს მდგომარეობა თანამედროვე პერიოდამდე შენარჩუნებულია, რასაც ნათლად გვიჩვენებს საქართველოს საგარეო ვაჭრობაში BSEC-ის წილის დინამიკა (ნახ. 5).

³³ შედგენილია საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემთა ბაზების მიხედვით, <https://www.geostat.ge/ka/modules/categories/35/sagareo-vachroba>




ნახ. 5 BSEC-ის წილი საქართველოს საგარეო სავაჭრო ბრუნვაში, 1995-2018 წწ., %.³⁴


BSEC-ის ქვეყნებთან საქართველოს ვაჭრობაში იზრდებოდა როგორც ექსპორტის, ისე იმპორტის აბსოლუტური მოცულობები, მაგრამ იმპორტის მეტი ზრდა აღინიშნა ექსპორტთან შედარებით (ნახ. 6). აღნიშნულმა გამოიწვია ამ ინტეგრაციულ დაჯგუფებასთან უარყოფითი სავაჭრო ბალანსის ზრდა.

სავაჭრო ბალანსის გაუარესება მკვეთრად გამოიხატა 2003-2007 წლებში, როდესაც თითქმის 8-ჯერ გაიზარდა უარყოფითი სალდო, რაც იმპორტის მოცულობის მკვეთრმა ზრდამ განაპირობა (ნახ. 7).

³⁴ შედგენილია საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემთა ბაზების მიხედვით, <https://www.geostat.ge/ka/modules/categories/35/sagareo-vachroba>




ნახ. 6. BSEC-ის ქვეყნებთან საქართველოს სავაჭრო ბალანსი, 1995-2018 წწ., ათასი აშშ დოლ.³⁵



ნახ. 7. BSEC-ის ქვეყნებთან საქართველოს სავაჭრო ბალანსის დინამიკა, 1995-2018 წწ., ათასი აშშ დოლ.³⁶

³⁵ შედგენილია საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემთა ბაზების მიხედვით, <https://www.geostat.ge/ka/modules/categories/35/sagareo-vachroba>

³⁶ შედგენილია საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემთა ბაზების მიხედვით, <https://www.geostat.ge/ka/modules/categories/35/sagareo-vachroba>




ნახ. 8. საქართველოს ექსპორტი BSEC-ის ქვეყნებში, 1995-2018 წწ., ათასი აშშ დოლ.³⁷

როგორც ნახ. 8 გვიჩვენებს, 2013 წლამდე აღნიშნული დაჯგუფების ქვეყნებთან საქართველოს ექსპორტს მზარდი ტენდენცია ჰქონდა და მკვეთრი ვარდნა დაფიქსირდა 2016 წელს, თუმცა მომდევნო წლებში კვლავ ექსპორტის ზრდა შეინიშნება.


BSEC-ის ქვეყნებს, როგორც საქსპორტო ბაზრებს, მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავთ საქართველოს მთლიან ექსპორტში, რასაც ადასტურებს ის ფაქტი, რომ ერთად აღებული ამ ქვეყნების წილი დაახლოებით 45-80 %-ის ფარგლებში მერყეობს საქართველოს მთლიან ექსპორტში 1995 წლიდან 2018 წლამდე (ნახ. 9). პოსტსოციალისტური განვითარების პირველ წლებში საქართველოსთვის რომ მეტად მნიშვნელოვანი იყო ბისეკის ქვეყნებში ექსპორტი, ის გარემოებაც მიუთითებს, რომ 1995 წელს ექსპორტის წილმა ამ ქვეყნებში 81,5% შეადგინა. მიუხედავად იმისა, რომ წილის გარკვეული შემცირება განხორციელდა მომდევნო წლებში, ეს საექსპორტო ბაზრების დივერსიფიკაციით და მთლიანი ექსპორტის ზრდით აიხსნება, რამაც ამ ქვეყნების წილის კლება გამოიწვია. მიუხედავად ამისა, 1999 წლიდან 2018 წლამდე ამ დაჯგუფების საშუალო წილი მთლიან ექსპორტში 55%-ია.

³⁷ შედგენილია საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემთა ბაზების მიხედვით, <https://www.geostat.ge/ka/modules/categories/35/sagareo-vachroba>



ნახ. 9. BSEC-ის ქვეყნების წილი საქართველოს მთლიან ექსპორტში, 1995-2018, %.³⁸


BSEC-ის ქვეყნები საქართველოსთვის საიმპორტო მომარაგების მნიშვნელოვანი წყაროების როლს ასრულებს (ნახ. 10). მათ წილად მოდის საქართველოში იმპორტირებული მთლიანი პროდუქციის საშუალოდ 50% (ნახ. 11). მიუხედავად საქართველოს საიმპორტო ბაზრების დივერსიფიკაციისა, ჩანს, რომ მეზობელი ქვეყნებიდან იმპორტი მნიშვნელობას არ კარგავს.



ნახ. 10. BSEC-ის ქვეყნებიდან იმპორტი საქართველოში, 1995-2018 წწ., ათასი აშშ დოლ.³⁹

³⁸ შედგენილია საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემთა ბაზების მიხედვით, <https://www.geostat.ge/ka/modules/categories/35/sagareo-vachroba>

³⁹ შედგენილია საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემთა ბაზების მიხედვით, <https://www.geostat.ge/ka/modules/categories/35/sagareo-vachroba>



ნახ. 11. BSEC-ის ქვეყნებიდან იმპორტის წილი საქართველოს მთლიან იმპორტში, 1995-2018, %.⁴⁰

⁴⁰ შედგენილია საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემთა ბაზების მიხედვით, <https://www.geostat.ge/ka/modules/categories/35/sagareo-vachroba>

დასკვნა

მსოფლიოში მიმდინარეობს გლობალიზაციისა და რეგიონალიზაციის პროცესები. აღნიშნულ მასშტაბურ პროცესებს ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში წინ უძღოდა სხვადასხვა სახის ეკონომიკური კავშირების განვითარება, როგორცაა ვაჭრობა, სამუშაო ძალის მიგრაცია, კაპიტალის გადაადგილება ქვეყნიდან ქვეყანაში და ა.შ. იმ წინამძღვრებს შორის, რომლებმაც ხელი შეუწყო ამ პროცესების განვითარებას, აღსანიშნავია, რომ სამეცნიერო-ტექნიკური სახის რევოლუციური ცვლილებები განსაკუთრებით მასშტაბურად აისახებოდა საწარმოო პროცესებზე და გამოიხატა სატრანსპორტო და საკომუნიკაციო საშუალებების განვითარებაში, რაც თავის მხრივ, ხელშემწყობი გახდა ეკონომიკის სხვა სექტორების განვითარებისთვის.

ეს ძვრები ფართო შესაძლებლობებს ქმნის განვითარებისთვის, მაგარამ არა ერთგვარს და ყველასთვის ხელმისაწვდომს.

გლობალური კონკურენციის პირობებში უპირატესობის მოსაპოვებლად ერთ-ერთი ოპტიმალური გზა რეგიონული თანამშრომლობაა.

რეგიონული ინტეგრაციული დაჯგუფებების ინტენსიური განვითარება მეოცე საუკუნის 90-იანი წლებიდან დაიწყო და დღეისათვის მსოფლიოში 300-ზე მეტი მხოლოდ სავაჭრო ინტეგრაციული შეთანხმებაა.

გამოიკვეთა რომ თანამედროვე რეგიონალიზმი უფრო მეტი გახსნილობით და კომპლექსურობით ხასიათდება. ქვეყნები ზოგჯერ რამდენიმე ინტეგრაციული დაჯგუფების წევრები არიან და ძირითადად კონცენტრაცია საერთო მიზნების გარშემო ხდება, თუმცა არის სხვა ფაქტორებიც, რომლებიც გაერთიანებისკენ უბიძგებს ქვეყნებს. ეს შეიძლება იყოს გეოგრაფიული ფაქტორი, უსაფრთხოების გაძლიერების სურვილი და ა.შ.

ბაზრების გაერთიანების შედეგად მიღებული ეკონომია წარმოების მასშტაბზე განსაკუთრებით მნიშვნელოვანია პატარა ქვეყნებისთვის, ვინაიდან მათი ეკონომიკების ზომა და საქონლის და წარმოების ფაქტორების შიდა ბაზრის სივიწროვე ფირმებს საშუალებას არ აძლევს გაზარდონ წარმოების მოცულობა. პატარა შიდა ბაზრებზე ძნელია პროდუქციის ერთეულზე დანახარჯების შემცირება

წარმოების გაზრდის და საქმიანობის მასშტაბიდან დადებითი უკუგების მიღების ხარჯზე. ინტეგრაციულ დაჯგუფებაში მონაწილეობა კი უპირველეს ყოვლისა, ბაზრის გაფართოების შესაძლებლობებს იძლევა.

თუ ქვეყანა ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის წევრია და ამავდროულად აპირებს ისეთი ინტეგრაციული დაჯგუფების წევრობას, რომელიც ვაჭრობის დისკრიმინაციას იწვევს, საჭიროა შეტყობინება გაუგზავნოს წინასწარ აღნიშნულ ორგანიზაციას.

ინტეგრაციიდან მიღებული ეფექტები ცხადია, მაგრამ არა ცალსახა. რეგიონული ინტეგრაცია ბაზრების გაერთიანებით საშუალებას იძლევა, შემცირდეს მონოპოლისტური ძალაუფლება, ვინაიდან სხვადასხვა ქვეყნის ფორმები აღმოჩნდება ხოლმე უფრო ინტენსიური კონკურენციის პირობებში, რამაც შეიძლება გამოიწვიოს მთელი რიგი დადებითი შედეგები. უპირველეს ყოვლისა, ესაა კონკურენციის ზრდის შედეგი – გამოხატული ფასების შემცირებასა და გაყიდვების ზრდაში. მეორე, ესაა შესაძლებლობა, ბაზრის გაფართოების პირობებში უფრო ეფექტიანად გამოიყენოს წარმოების მასშტაბზე ეკონომია. ბაზრის გაფართოება საშუალებას იძლევა ერთდროულად გაიზარდოს წარმოების მასშტაბზე ეკონომიაც და კონკურენციაც. ამასთან, ინტეგრაცია აიძულებს მწარმოებლებს შეამცირონ შიდა არაეფექტიანობა. ამ შემთხვევაში თითოეული ქვეყანა ახდენს სპეციალიზაციას იმ საქონლის წარმოებაზე, რომელსაც შედარებით ნაკლები დანახარჯებით აწარმოებს და ახორციელებს მის ექსპორტს; რაც მეტია ვაჭრობის ზრდის ალბათობა პარტნიორ ქვეყნებს შორის ინტეგრაციის შექმნამდე, მით მეტია ვაჭრობის ფორმირების ეფექტის ალბათობა.

ამასთან, ინტეგრაციამ შეიძლება ვაჭრობის შემცირება გამოიწვიოს, თუ წევრი ქვეყნების მასშტაბური გადართვა მოჰყვა შიდა ბაზარზე.

საქართველოს მსგავსი მცირე ქვეყნისთვის მეტად მნიშვნელოვანია ინტეგრაციულ დაჯგუფებებში მონაწილეობა და საერთო სტრატეგიული მიზნის გარშემო გაერთიანებით მსოფლიო ასპარეზზე გასვლა. ამ თვალსაზრისით შავი ზღვის თანამშრომლობის ორგანიზაცია მეზობელ შავიზღვისპირა ქვეყნებთან ერთად სხვადასხვა სტრატეგიული მიზნების განხორციელების საშუალებად შესაძლებელია

განვიხილოთ, თუმცა არის გარკვეული წინააღმდეგობები, რომელიც მაგალითად, საქართველო-რუსეთის, რუსეთ-უკრაინის, აზერბაიჯანი-სომხეთის პოლიტიკურ კონფლიქტებს უკავშირდება.

შავი ზღვის ეკონომიკური თანამშრომლობა 1992 წლიდან იღებს სათავეს როგორც თანამშრომლობის ინიციატივა და 1999 წლიდან იწყებს ფუნქციონირებას როგორც ორგანიზაცია. მისი გაცხადებული მიზანი ფართოა და გამოიხატება რეგიონის ეკონომიკურ განვითარებისა და სტაბილურობის უზრუნველყოფაში, წევრი ქვეყნების ხალხის კეთილდღეობისა და შავი ზღვის სივრცეში დემოკრატიული პროცესების ხელშეწყობაში. ორგანიზაციის ამოცანები საქმიანობის ყველა სპექტრს მოიცავს: ენერგეტიკა; ეკონომიკისა და ვაჭრობის განვითარების საკითხები; მცირე და საშუალო საწარმოება; ტურიზმი; ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის საკითხები; ტრანსპორტი და კომუნიკაცია; სტატისტიკისა და ინფორმაციის გაცვლა; სამეცნიერო-ტექნოლოგიური საკითხები; გარემოს დაცვა; განათლება; ჯანდაცვა და ფარმაცევტიკა; სოფლის მეურნეობა; საგანგებო სიტუაციების საკითხები; საბანკო და საფინანსო სფერო; ინსტიტუციონალური განახლებისა და მდგრადი მმართველობის საკითხები; საბაჟო თანამშრომლობა; კულტურა; საორგანიზაციო საკითხები.

დასახული ფართო თანამშრომლობისა და რიგი გაწეული სამუშაოების მიუხედავად არსებობს სამეცნიერო შეფასებები, რომ ინტეგრაციის პოტენციური შესაძლებლობები ვერ არის სათანადოდ ათვისებული, რაც შეიძლება უკავშირდებოდეს რეგიონში ინტეგრაციის სხვადასხვა შესაძლებლობის არსებობას წევრი ქვეყნებისთვის, გასათვალისწინებელია აღნიშნული პოლიტიკური კონფლიქტები, როგორც ხელშემშლელი

1995-2018 წლებში BSEC-ის ქვეყნებთან საქართველოს ვაჭრობის ანალიზით გამოვლინდა, რომ დაჯგუფების წევრ ქვეყნებზე მოდის საქართველოს საგარეო სავაჭრო ბრუნვის ნახევარი. პოსტსოციალისტური განვითარების პირველ წლებში ამ ქვეყნების საექსპორტო მნიშვნელობა უფრო დიდი იყო საქართველოსთვის, რაც მაღალ ხვედრით წილში გამოიხატებოდა. ეს წილი შემცირდა ექსპორტის დივერსიფიკაციის ხარჯზე, თუმცა დაჯგუფების წევრი ქვეყნები კვლავ რჩებიან

მნიშვნელოვან საექსპორტო ბაზრებად საქართველოსთვის. მათზე მოდის საქართველოს ექსპორტის დაახლოებით 55%. BSEC-ის ქვეყნებიდან იმპორტზე მოდის საქართველოს მთლიანი იმპორტის დაახლოებით 50%.

შავი ზღვის აუზის ქვეყნებთან გეოგრაფიული სიახლოვე არსებით გავლენას ახდენს საქართველოს საგარეო ვაჭრობაზე, რაც გამოიხატება ძირითადი საექსპორტო და საიმპორტო პარტნიორი ქვეყნების მნიშვნელობაში, მაგრამ ამავე ქვეყნებთან სავაჭრო ბალანსის უარყოფითი სალდო პრობლემურია, მიუხედავად იმისა, რომ მკვეთრი გაურესების შემდეგ მისი დონე მეტ-ნაკლებად შენარჩუნებულია. მოცემული ინტეგრაციული დაჯგუფების კრიტიკულ შეფასებების გათვალისწინებით და საკითხის შესწავლის საფუძველზე შესაძლებელია ვივარაუდოთ, უფრო მეტად ორმხრივი სავაჭრო ურთიერთობებია საქართველოსთვის პერსპექტიული განვითარების მოცემულ ეტაპზე. ეკონომიკური ზრდის ტემპებში ლიდერობა საქართველოს სასურველ სავაჭრო პარტნიორად აქცევს შავი ზღვის თანამშრომლობის წევრი ქვეყნებისთვის.

გამოყენებული ლიტერატურა

1. შავი ზღვის ეკონომიკური თანამშრომლობის ორგანიზაციის (BSEC) ოფიციალური ვებ-გვერდის ინფორმაცია, <http://www.bsec-organization.org/> ნანახია 10/01-2020.
2. საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ინფორმაცია შავი ზღვის ეკონომიკური თანამშრომლობის ორგანიზაციის (BSEC) შესახებ,
3. <http://www.mfa.gov.ge/MainNav/ForeignPolicy/MultilateralRelations/BSEC.aspx>
4. ნანახია 10/01-2020
5. გუროვა ირინა, მსოფლიო ეკონომიკა, თბ, 2014.
6. კრუმანი პოლ, ობსტველდი მაურის, მელიტცი მარკ, საერთაშორისო ეკონომიკა, თარგმანი ინგლისურიდან, თბ., თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2018.
7. ვემაპიძე შოთა, ლეკაშვილი ეკა, გრიშკაშვილი ამბროსი, ასლამაზიშვილი ნანა, მსოფლიო ეკონომიკა, თბ., 2008.
8. ლეკაშვილი ეკა, რეგიონული ეკონომიკური ინტეგრაცია - მცირე ქვეყნების ეკონომიკური პოლიტიკის კოორდინაციის სრულყოფის მიმართულება, თბ., „უნივერსალი“, 2018.
9. პაპაჩაშვილი ნინო, როგორ ვიხსნათ ქვეყანა გლობალიზაციის უარყოფითი შედეგებისაგან, ჟ. ბიზნეს-მაცნე, #1, თბ., „ინოვაცია“, 2007.
10. AL Arzu, MEHMETCIK Hakan, Economic Regionalization and Black Sea in a Comparative Perspective, Marmara University Journal of Political Science, 2017, ISSN 2147-6934.
11. Aladashvili Gela, MODERN ACCENTS FOR IMPROVING COMPETITIVENESS, II International scientific and practical conference „Modern Management Strategic Imperatives”, ЗМІСТ II Міжнародна науково-практична конференція "Стратегічні імперативи сучасного менеджменту", Holds on in Kyiv 22-23 May, 2014, http://feu.kneu.edu.ua/ua/confere_ nce/sism/
12. ნანახია 10/12-2019.
13. BUZĂIANU Alina, THE CHALLENGES OF REGIONAL COOPERATION. THE EUROPEAN BLACK SEA DIMENSION, Research and Science Today No. 1(9)/2015

14. Encyclopedia Britannica <https://www.britannica.com/topic/economic-integration> ნანახია 10/12-2019.
15. OECD (2016), OECD Regional Outlook 2016: Productive Regions for Inclusive Societies, OECD Publishing, Paris, pp. 18-19. <http://dx.doi.org/10.1787/9789264260245-en> ნანახია 18/12-2019.
16. Siskos Evangelos, Darvidou Konstantia, Bilateral Trade and Tourism Relations between the EU and BSEC Countries Problems and Perspectives in Management, Volume 16, Issue 4, 2018
17. The Global Competitiveness Report 2013–2014: Full Data Edition is published by the World Economic Forum within the framework of The Global Competitiveness and Benchmarking Network, Ed. Klaus Schwab.
18. The Global Competitiveness Report 2019: Full Data Edition is published by the World Economic Forum within the framework of The Global Competitiveness and Benchmarking Network, Ed. Klaus Schwab, http://www3.weforum.org/docs/WEF_TheGlobalCompetitivenessReport2019.pdf ნანახია 15/12-2019.
19. ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის მონაცემები <http://rtais.wto.org/UI/charts.aspx> ნანახია 10/01-2020
20. საერთაშორისო სავალუტო ფონდის მონაცემები www.imf.org ნანახია 10/01-2020
21. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემები, <https://www.geostat.ge> ნანახია 10/12-19
22. Campos F. Nauro, Coricelli Fabrizio, Moretti Luigi, Norwegian Rhapsody? The Political Economy Benefits of Regional Integration, IZA DP No. 9098, June 2015 <http://ftp.iza.org/dp9098.pdf> ნანახია 14/12-2019
23. Regional Trade Agreements Information System (RTA-IS), User Guide (ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის რეგიონული სავაჭრო შეთანხმებების საინფორმაციო სისტემა. მომხმარებელთა გზამკვლევი),
24. https://rtais.wto.org/UserGuide/RTAIS_USER_GUIDE_EN.html ნანახია 10/01-2020.

25. Campos F. Nauro, Coricelli Fabrizio, Moretti Luigi, Norwegian Rhapsody? The Political Economy Benefits of Regional Integration, IZA DP No. 9098, June 2015, <http://ftp.iza.org/dp9098.pdf> *βιβλίο 15/12-2019*.
26. World Bank: RTAs, Effect on Trade, 2005.
27. World Bank Group data <https://www.worldbank.org/en/topic/regional-integration/brief/regional-trade-agreements> *βιβλίο 24/12-2019*

დანართი 1

BSEC-ის ფარგლებში ხელმოწერილი შეთანხმებები:⁴¹

- შეთანხმება BSEC-ის წევრი ქვეყნების მთავრობებს შორის დანაშაულთან, განსაკუთრებით კი მის ორგანიზებულ ფორმებთან ბრძოლაში თანამშრომლობის შესახებ (ქ. კერკირა, 1998 წლის 2 ოქტომბერი);

- BSEC-ის წევრი ქვეყნების მთავრობებს შორის დანაშაულთან, განსაკუთრებით კი მის ორგანიზებულ ფორმებთან ბრძოლაში თანამშრომლობის შესახებ შეთანხმების დამატებითი ოქმი (ქ. კიევი, 2002 წლის 15 მარტი);

- BSEC-ის წევრი ქვეყნების მთავრობებს შორის დანაშაულთან, განსაკუთრებით კი მის ორგანიზებულ ფორმებთან ბრძოლაში თანამშრომლობის შესახებ შეთანხმების დამატებით ოქმი ტერორიზმთან ბრძოლის შესახებ (ქ. ათენი, 2004 წლის 3 დეკემბერი);

- შეთანხმება BSEC-ის წევრი ქვეყნების მთავრობებს შორის საგანგებო სიტუაციებში და ბუნებრივი და ხელოვნური კატასტროფების დროს სასწრაფო დახმარების აღმოჩენის სფეროში ურთიერთთანამშრომლობის შესახებ (ქ. სოჭი, 1998 წლის 15 აპრილი);

- BSEC-ის წევრი ქვეყნების მთავრობებს შორის საგანგებო სიტუაციებში და ბუნებრივი და ხელოვნური კატასტროფების დროს სასწრაფო დახმარების აღმოჩენის სფეროში ურთიერთთანამშრომლობის შესახებ შეთანხმების დამატებითი ოქმი (ქ. კიევი, 2005 წლის 20 ოქტომბერი);

- BSEC-ის მხრიდან მიღებულ იქნა BSEC-ევროკავშირის თანამშრომლობის პლატფორმა (1999 წელი, ქ. თბილისი) და BSEC-ევროკავშირის თანამშრომლობის შესახებ სამუშაო დოკუმენტი (2007 წელი, ქ. სტამბოლი), რასაც ევროკავშირის მხრიდან საპასუხოდ მოჰყვა "Black Sea Synergy Initiative" (2007 წელი, ბრიუსელი) დოკუმენტის მიღება.

⁴¹ <http://www.mfa.gov.ge/MainNav/ForeignPolicy/MultilateralRelations/BSEC.aspx>

დანართი 2

BSEC-ის თანამშრომლობა საერთაშორისო და რეგიონალურ

ორგანიზაციებთან და სტრუქტურებთან:⁴²

- გაერთიანებული ერების ორგანიზაცია (დამკვირვებლის სტატუსი გაეროს გენერალურ ანსამბლეაში);
- გაეროს ეკონომიკური კომისია ევროპისათვის (UN/ECE) (შეთანხმება გარემოს დაცვის, ტრანსპორტისა და მცირე და საშუალო საწარმოების სფეროებში თანამშრომლობის შესახებ);
- გაეროს განვითარების პროგრამა (UNDP) - (BSEC-UNDP-ის ერთობლივი პროექტი - შავი ზღვის ვაჭრობისა და ინვესტიციების ხელშეწყობის პროგრამა);
- UNEP (შეთანხმება BSEC-ს და UNEP-ს შორის თანამშრომლობის შესახებ); UNIDO (შეთანხმება ინვესტიციების ხელშეწყობის, ენერგეტიკის, მცირე და საშუალო საწარმოების, ადამიანური რესურსების განვითარების, სამრეწველო სტატისტიკისა და გარემოს დაცვის სფეროებში თანამშრომლობის შესახებ);
- UN/FAO (პროექტი BSEC-ის წევრ ქვეყნებს შორის სოფლის მეურნეობის საქონლით შიდა და რეგიონთაშორისი ვაჭრობის ხელშეწყობის მიზნით ინსტიტუციონალური განვითარების შესახებ);
- საპროექტო კოცეფცია შავი ზღვის რეგიონში სოფლებში მცხოვრები დაბალ შემოსავლიანი ოჯახებისათვის დამატებითი შემოსავლების მიღების მიზნით მეფუტკრეობის განვითარების ხელშეწყობის შესახებ;
- საპროექტო იდეა მცენარეთა გენეტიკური რესურსებისა და საკვები ხორბლის ქსელისშექმნის შესახებ); მსოფლიო ბანკი (თანამშრომლობის შესახებ ერთობლივი დოკუმენტი);
- ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაცია (WTO) (ერთობლივი რეგიონალური სემინარების ორგანიზება);
- ევრაზიის ეკონომიკური საზოგადოება (ურთიერთგაგების მემორანდუმი).

⁴² <http://www.mfa.gov.ge/MainNav/ForeignPolicy/MultilateralRelations/BSEC.aspx>

გლობალიზაციის ერაში ახალი გამოწვევებისა და რეალიების გათვალისწინებითა და BSEC-ის ეფექტურობის ამაღლების მიზნით დაწყებულ იქნა BSEC-ის რეფორმისა და რესტრუქტურისაციის პროცესი, რომელიც ითვალისწინებს, მინისტრთა საბჭოს მიერ უფროსი თანამდებობის პირთა კომიტეტისათვის გარკვეული უფლებების დელეგირებას, BSEC-ის სამდივნოში დამატებითი პოსტების შემოღებას, გადაწყვეტილებების მიღების პროცესის გამარტივებასა და სხვა.

- მიღებულ იქნა ორი ურთიერთგაგების მემორანდუმის პროექტი - "ურთიერთგაგების მემორანდუმი შავი ზღვის წრიული მაგისტრალის კოორდინირებული განვითარებისათვის" და "ურთიერთგაგების მემორანდუმი BSEC-ის რეგიონში საზღვაო მაგისტრალის განვითარების შესახებ". აღნიშნული მემორანდუმების მიღება წარმოადგენს პრაქტიკულ შედეგებს მნიშვნელოვანი რეგიონალური პროექტების განხორციელების თვალსაზრისით.

საქართველოს ექსპორტი შავი ზღვის თანამშრომლობის ქვეყნებში, 1995- 2018 წწ.,

(ათასი აშშ დოლარი)		2010	2011	2012	2013	2014	2015	2016	2017	2018
	ქვეყნები	155199.3	155199.3	155199.3	155199.3	155199.3	155199.3	155199.3	155199.3	155199.3
	ექსპორტი	2,608,961.90	3,566,622.30	3,902,145.00	4,025,579.20	4,356,913.40	3,579,883.90	3,580,624.10	3,909,555.90	4,352,613.40
	შავი ზღვი	267.4	267.4	267.4	267.4	267.4	267.4	267.4	267.4	267.4
1	ალბანეთი									
		13384.4	13384.4	13384.4	13384.4	13384.4	13384.4	13384.4	13384.4	13384.4
2	აზერბაიჯ	0.5	0.4	0.3	0.3	0.3	0.4	0.4	0.3	0.3
		5657.4	5657.4	5657.4	5657.4	5657.4	5657.4	5657.4	5657.4	5657.4
3	ბულგარე	0.2	0.2	0.1	0.1	0.1	0.2	0.2	0.1	0.1
		34287.7	34287.7	34287.7	34287.7	34287.7	34287.7	34287.7	34287.7	34287.7
4	თურქეთი	1.3	1	0.9	0.9	0.8	1	1	0.9	0.8
498	მოლდოვა	7,745.70	10,126.70	11,464.00	14,338.80	4,653.40	6,534.30	2,039.30	3,244.70	3,373.80
6	რუმინეთ	29,656.80	19,782.50	3,537.10	5,032.90	4,293.90	26,982.90	36,721.40	75,259.00	57,829.20
7	რუსეთი	48633.9	48633.9	48633.9	48633.9	48633.9	48633.9	48633.9	48633.9	48633.9
8	საბერძნეთი	8,025.10	6,186.00		2,181.50	14,747.80	13,752.40	10,569.50	11,525.60	3,863.90
9	სერბეთი									220.5
										21.9
10	სომხეთი	18040.1	18040.1		18040.1	18040.1	18040.1	18040.1	18040.1	18040.1
11	უკრაინა	5773.9	5773.9		5773.9	5773.9	5773.9	5773.9	5773.9	5773.9